ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

მათემატიკის დეპარტამენტი

სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: მათემატიკა

ზვიად ყალიჩავა

ზოგიერთი არაწრფივი სასაზღვრო ამოცანის მიახლოებითი ამოხსნის მეთოდი

მათემატიკაში დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ჯემალ ფერაძე - ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორი,

ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2021

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Exact and Natural Sciences

Department of Mathematics

Name of Doctoral Program: Mathematics

Zviad Kalichava

Some Approximate Methods of Solution of Certain Boundary Value Problems

Thesis submitted for the degree of Ph.D. in Mathematics

Scientific adviser:

Jemal Peradze – Doctor of Phys.- Math. Sci.

Associated Professor

Tbilisi

2021

აბსტრაქტი

წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომში განხილულია ძელის რხევის ს. ტიმოშენკოს ტიპის ორი მათემატიკური მოდელი. თითოეული მოდელი წარმოდგენილია არაწრფივი ჰიპერბოლური დიფერენციალური განტოლებით ან განტოლებათა სისტემით, გარკვეულ საწყის-სასაზღვრო პირობებში. ჩვენ მიზანს წარმოადგენდა შესაბამისი საწყის-სასაზღვრო ამოცანებისთვის მიახლოებითი ალგორითმების შემუშავება, სიზუსტის კვლევა და რიცხვითი ტესტირება.

ჩვენ ავაგეთ სამეტაპიანი რიცხვითი ალგორითმები, რომელთა შემადგენელი ნაწილებია: პროექციული მეთოდი ტრიგონომეტრიული ან უბან-უბან წრფივი ფინიტური ფუნქციებით, სიმეტრიული არაცხადი მდგრადი სხვაობიანი სქემები, ნიუტონის ან პიკარის იტერაციული პროცესები. შეფასდა თითოეული ალგოთიმის შემადგენელი მეთოდების სიზუსტე, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა ყოველი გამოყენებული ალგორითმისათვის სრული ცდომილების შეფასება. ტესტური მაგალითების ამოხსნის შედეგები ადასტურებდა აგებული ალგორითმების ეფექტურობას.

დისერტაციის კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენდა მეთოდებისა და დებულებების საკმაოდ ფართე სპექტრი. ალგორითმების სიზუსტის გამოსავლენად ჩვენ გამოვიყენეთ აპრიორული შეფასებების მეთოდი, კუმშვითი ასახვის პრინციპი, გრონუოლის ინტეგრალური უტოლობა, ბიჰარი-ლანგენჰოფის ლემა, გერშგორინის წრეები, ლ. კანტოროვიჩის თეორემა, შერმან-მორისონის ფორმულა, უბან-უბან წრფივი ფინიტური ფუნქციების მააპროქსიმებელი თვისებები, მწკრივების კრებადობის ინტეგრალური ნიშანი, ტრაპეციების განზოგადოებული კვადრატურული ფორმულის ცდომილების დაზუსტებული შეფასებები და სხვა.

ჩვენ მიერ შემოთავაზებული ალგორითმები ახალია იმ გაგებით, რომ განხილული ამოცანების მიმართ სხვა მკვლევარებს მეთოდების ასეთი კომბინაცია არ გამოუყენებიათ. თეორიული კვლევის და რიცხვითი ექსპერიმენტის შედეგები გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ჩვენ მიერ აგებული ალგორითმები გამოიწვევს ინტერესს რიცხვითი მეთოდებისა და გამოთვლითი მექანიკის შესაბამისი დარგის სპეციალისტებს შორის.

როგორც წინასწარმა შეფასებამ გვიჩვენა, სადისერტაციო ნაშრომის თეორიული შედეგების გავრცელება შესაძლებელია იმ ამოცანებზე, რომლებშიც ტიმოშენკოს ტიპის დინამიკური განტოლება აკმაყოფილებს სულ ცოტა ერთ მოთხოვნას ქვემოთ ჩამოთვლილი სამი პირობიდან. სახელდობრ, დავუშვათ, განტოლება

1. განიხილება ზოგად ფუნქციურ სივრცეში
2. შეესაბამება დაშვებას, რომ კავშირი ძაბვასა და დეფორმაციას შორის უფრო ზოგადი ხასიათისაა, ვიდრე ჰუკის კანონის მოქმედების შემთხვევაში
3. არის სივრცულად ორგანზომილებიანი, რაც ხშირად იმის მანიშნებელია, რომ მოცემული განტოლებით აღიწერება ფირფიტისა და გარსის რხევა.

ნაშრომის პრაქტიკულ მნიშვნელობასთან დაკავშირებით აღვნიშნოთ შემდეგი

1. ძელები, რომელთა რხევა აღიწერება ნაშრომში განხილული განტოლებებით, წარმოადგენს სამშენებლო კონსტრუქციების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს. ამიტომ აღნიშნული განტოლებების ამოხსნის მეთოდებს აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა.

2. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნაშრომში შეფასებულია შემოთავაზებული ალგორითმების სრული ცდომილება. თითოეულ შემთხვევაში სრული ცდომილების შეფასების ფორმულაში გამოყენებულია საკმაოდ ბევრი პარამეტრი. ყველა პარამეტრისთვის, გამონაკლისის გარეშე, ამოწერილია ფორმულა ან ფორმულათა ჯგუფი, რომელიც გარკვეული პირობების შესრულების შემთხვევაში საშუალებას იძლევა გამოვითვალოთ შესაბამისი პარამეტრის მნიშვნელობა ან მისი ზედა ზღვარი. ამან შეიძლება გარკვეული პრაქტიკული ღირებულება შეიძინოს. კერძოდ, ვფიქრობთ, რომ შედეგად შესაძლებელი გახდება ისეთი გამოთვლითი პროცესის წინასწარ დაგეგმვა, რომელიც უზრუნველყოფს პასუხის მიღებას მოთხოვნილი სიზუსტით. მაშასადამე, კომპიუტერზე გამოთვლების დაწყებამდე შესაძლებელი იქნება იმის გარკვევა, თუ რამდენი ბაზისური ფუნქცია უნდა იყოს გამოყენებული ალგორითმის პროექციულ ეტაპზე, როგორი უნდა იყოს ბადის ბიჯი სხვაობიან სქემაში, რამდენი იტერაცია უნდა შესრულდეს, რათა პასუხის საბოლოო ცდომილება არ აღემატებოდეს წინასწარ დასახელებულ სიდიდეს, რაც მოგვცემს საშუალებას მივიღოთ შედეგი სასურველი სიზუსტით, კომპიუტერული დროის მინიმალური დანახარჯით.

სადისერტაციო ნაშრომი შედგება ორი თავისაგან, განხილული მოდელების რაოდენობის შესაბამისად. თითოეულ თავში მოყვანილია ამა თუ იმ მოდელთან ჩვენს მიერ მიღებული შედეგები. ნაშრომი შეიცავს 115 ნაბეჭდ გვერდს. ციტირებული ლიტერატურის ნუსხაში მითითებულია 74 პუბლიკაცია.

Abstract

The present dissertation focuses on the mathematical models of the S. Timoshenko type of beam oscillation. Each model is represented by a nonlinear hyperbolic differential equation or system of equations under certain initial-boundary conditions. We aim to develop approximate algorithms for the relevant initial-boundary problems, accuracy study and numerical testing.

We have constructed three-step numerical algorithms that consist of a projection method with trigonometric or section-linear finite element functions, symmetric indefinitely stable difference schemes, iterative processes of Newton or Picard. The accuracy of the constituent methods of each algorithm was evaluated, making it possible to estimate the total error for each algorithm used. The results of solving test examples confirmed the effectiveness of the built algorithms.

The theoretical-methodological basis of the dissertation represents a wide range of methods and provisions. To demonstrate the accuracy of the algorithms, we used the method of a priori estimation, the principle of contractile reflection, the Gronwall integral inequality, the Lemma of Bihari-Langenhof, the circles of Gershgorin, the theory of L.Kantorovich, the formula of Sherman-Morrison, approximate properties of linear finite element functions, the integral test for convergence, a refined estimations of the errors for the generalized quadratic formula of trapezoids and so on.

The algorithms we propose are new since other researchers have not applied such a combination of methods to the tasks under consideration. The results of theoretical research and numerical experiment give us the reason to assume that the algorithms we have built will arouse interest among specialists in the relevant field of numerical methods and computational mechanics.

As the preliminary evaluation showed, the theoretical results of the dissertation can be extended to tasks in which the Timoshenko type dynamic equation meets at least one of the three conditions listed below. Namely, the equation

1. considered in a general functional space

2. consistent with the assumption that the relationship between stress and strain is more general than in the case of Hook's law
3. is spatially two-dimensional, which often indicates that the given equation describes the oscillation of the plate and shell.

As for the practical value of the dissertation, the following should be mentioned

1. The beams, the oscillation of which is described by the equations discussed in the paper, are one of the most important parts of building structures. Therefore the methods of solving these equations are of practical importance;

2. As already mentioned, the paper evaluates the complete error of the proposed algorithms. In each case, quite many parameters are used in the complete error estimation formula. For every parameter, without exception, a formula or group of formulas is written, which, under certain conditions, allows us to calculate the value of the corresponding parameter or its upper limit. We think that as a result, it will be possible to plan such a computational process in advance, which will ensure that the result is obtained with the required accuracy. Consequently, before starting the computation on the computer, it will be possible to find out how many basic functions should be used in the projection stage of the algorithm, what the grid step should be in the differential scheme, how many iterations should be performed so that the final error does not exceed the pre-named value. With precision, with minimal cost of computer time.

The dissertation consists of two chapters according to the number of models discussed. Each chapter presents the results we have obtained with this or that model. The paper contains 115 printed pages. The list of cited literature indicates 74 publications.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი 11

თავი I. მიახლოებითი ალგორითმი დინამიკური ძელის ინტეგრო-დიფერენციალური არაერთგვაროვანი განტოლებისათვის

ნაწილი I. ამოცანის დასმა...18

1. განტოლება და საწყის-სასაზღვრო პირობები 18

2. ამოხსნადობა 19

3. კერძო შემთხვევა 20

ნაწილი II. ალგორითმი 21

4. გალიორკინის მეთოდი 21

5. სხვაობიანი სქემა 21

6. ნიუტონის იტერაციული პროცესი 22

ნაწილი III. ალგორითმის სიზუსტე 24

7. გალიორკინის მეთოდის სიზუსტე 24

7.1. ზუსტი ამონახსნის მთავარი ნაწილის ნორმის შეფასება 24

7.2. მიახლოებითი ამონახსნის ნორმის შეფასება 26

7.3. $c_{1l}(t)$ პარამეტრების გამოთვლის შესახებ 27

7.4. რამდენიმე დამხმარე უტოლობა 28

7.5. გალიორკინის მეთოდის ცდომილების შეფასება 37

8. სხვაობიანი სქემის სიზუსტე 40

8.1. განტოლებათა სისტემა ცდომილებისათვის 40

8.2. სისტემის მატრიცული სახე 41

8.3. შერმან-მორისონის ფორმულის გამოყენება 43

8.4. აპრიორული უტოლობები 44

8.5. მატრიცების ნორმების შეფასება 48

8.6. სხვაობიანი სქემის ცდომილების შეფასება 56

9. ნიუტონის იტერაციული პროცესის სიზუსტე 59

9.1. იაკობიანის შებრუნებული მატრიცის ნორმის შეფასება ………...........61
9.2. დამხმარე უტოლობები ……………………………………………………64
9.3. კანტოროვიჩის ლემა …………………………………………………….67
9.4. თეორემა კრებადობის შესახებ ……………………………………………69
10. ალგორითმის სრული ცდომილება …………………………………….70
10.1. სრული ცდომილების განსაზღვრება …………………………………...70
10.2. ალგორითმის სრული ცდომილების შეფასება ……………………….....70
10.3. მაგალითი …………………………………………………………………..71

თავი II. რიცხვითი ალგორითმი ტიმოშენკოს ძელის არაწრფივი სისტემი-სათვის

ნაწილი I. ამოცანის დასმა …………………………………………………………....74
1. განტოლებათა სისტემა და საწყის-სასაზღვრო პირობები……………….....74
2. სისტემის დაყვანა პირველი რიგის განტოლებათა სისტემაზე…………….75

ნაწილი II. ალგორითმი ……………………………………………………………....76
3. სასრულ ელემენტთა მეთოდი ……………………………………………....76
4. სხვაობიანი სქემა ……………………………………………………………...79
5. იტერაციული პროცესი ………………………………………………………....80

ნაწილი III. ალგორითმის ცდომილება ………………………………………..81
6. დამხმარე დებულებები……………………………………………………….81
6.1. უტოლობები K, M და Q მატრიცებისთვის ……………………………...81
6.2. უტოლობები A, B და C ბლოკური მატრიცებისთვის…………………..81
7. სასრულ ელემენტთა მეთოდის სიზუსტე…………………………………84
7.1. ცდომილების განსაზღვრება და განტოლება ცდომილებისთვის…….84
7.2. აპრიორული შეფასებები …………………………………………………..85
7.3. სასრულ ელემენტთა მეთოდის ცდომილების შეფასება……………….91
8. სხვაობიანი სქემის სიზუსტე………………………………………………..93
8.1. განტოლება ცდომილებისთვის …………………………………………...93
8.2. დამხმარე შეფასება ………………………………………………………….94
8.3. სხვაობიანი სქემის ცდომილების შეფასება……………………………….96
9. იტერაციული პროცესის სიზუსტე ………………………………………….98

9.1. ცდომილების განსაზღვრება ……………………………………………98
9.2. დამხმარე უტოლობა ………………………………………………………99
9.3. იტერაციული პროცესის ცდომილება …………………………..………100
10. ალგორითმის სრული ცდომილება …………………………………………103
10.1. სრული ცდომილების განსაზღვრება ……………………………………103
10.2. ალგორითმის სრული ცდომილების შეფასება …………………………103
10.3. რიცხვითი ექსპერიმენტი …………………………………………………104
დასკვნა..108
ლიტერატურა …………………………………………………………………………109

შესავალი

დისერტაციის პირველ თავში აგებული და შესწავლილია ერთი რიცხვითი ალგორითმის ეტაპები შემდეგი სახის საწყის-სასაზღვრო ამოცანისთვის [36]–[39]

$$\frac{\partial^2 u}{\partial t^2}(x,t) + \frac{\partial^4 u}{\partial x^4}(x,t) - h\frac{\partial^4 u}{\partial x^2 \partial t^2}(x,t) - \left(\lambda + \int_0^L \left(\frac{\partial u}{\partial x}(x,t)\right)^2 dx\right)\frac{\partial^2 u}{\partial x^2}(x,t) = f(x,t),$$

$$0 < x < L, \quad 0 < t \le \mathrm{T},$$

$$u(x,0) = u^0(x), \quad \frac{\partial u}{\partial t}(x,0) = u^1(x)$$

$$u(0,t) = u(L,t) = 0, \quad \frac{\partial^2 u}{\partial x^2}(0,t) = \frac{\partial^2 u}{\partial x^2}(L,t) = 0.$$

მოცემული განტოლება, რომელიც ტიმოშენკოს (Timoshenko) თეორიაზე [70] დაყრდნობით მიღებულია ჰენრიკო დე-ბრიტოს (Henriques de Brito) [32], [33] მიერ, აღწერს ძელის რხევას. $u(x,t)$ და $f(x,t)$ ძელის გადაადგილებისა და ძალის ფუნქციებია, შესაბამისად. $f(x,t) = 0$, $\lambda = 0$ შემთხვევისთვის ზემოთ მოყვანილი განტოლება პრიზმატული ძელისთვის კარმანის (Karman) განტოლებათა სისტემიდან ზღვარზე გადასვლის შედეგად მიღებულია მენზალასა (Menzala) და ზუაზუას (Zuazua) [51], [52] მიერ. თუ $f(x,t) = 0$, $h = 0$, განტოლება ემთხვევა ვოინოვსკი-კრიგერის (Woinowsky-Krieger) [74] კარგად ცნობილ ძელის განტოლებას

$$\frac{\partial^2 u}{\partial t^2}(x,t) + \frac{\partial^4 u}{\partial v^4}(x,t) - \left(\alpha_0 + \alpha_1 \int_0^L \left(\frac{\partial u}{\partial x}(x,t)\right)^2 dx\right)\frac{\partial^2 u}{\partial x^2}(x,t) = 0,$$

$$\alpha_0, \alpha_1 > 0, \quad 0 < x < L, \quad 0 < t \le T.$$

შესაბამის მოდელს სწავლობდნენ დიკეი (Dickey) [23], ბოლი Ball [7], ხოლო ჰილბერტის სივრცეში იხილავდა მედეირიოსი (Medeiros) [46]. მსგავსი სახის პრობლემებზე მუშაობდნენ ლიონსი (Lions) [42], [43], მენზალა (Menzala) [50], პოხოჟაევი (Pokhozhaev) [62] და რივერა (Rivera) [64]. ჰენრიკო დე-ბრიტოს (Henriques de Brito) ძელის მათემატიკურ მოდელს და მის ზოგიერთ განზოგადებას უთმობდნენ ყურადღებას თავიანთ ნაშრომებში მეცნიერები აროზიო (Arosio) [3], ბაე (Bae), პარკი (Park), ჯონგი (Jeong) [4], ბალაჩანდრანი (Balachandran), პარკი (Park) [5],

ბალაჩანდრანი (Balachandran), პარკი (Park), ჯანგი (Jung) [6], დე ანდრადე (De Andrade) [22], კოუსინი (Cousin) [20], მედეიროსი (Medeiros), ლიმაკო (Limaco), მენეზესი (Menezes) [47], [48].

აქ ჩვენ ავაგებთ ერთ მიახლოებით ალგორითმს აღნიშნული ამოცანისთვის და შევისწავლით მის სიზუსტეს. რიცხვითი ალგორითმები ძელის სტატიკური და დინამიკური, მსგავსი არაწრფივობის მქონე ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებებისთვის და განტოლებათა სისტემებისთვის გამოკვლეულია რამდენიმე ნაშრომში. დავასახელოთ ზოგიერთი მათგანი. სტატიკური შემთხვევები განხილულია [10], [44] და [55]-ში. ბერიკელაშვილის (Berikelashvili), პაპუკაშვილისა (Papukashvili) და ფერაძის (Peradze) [10] მიერ სტატიკური ძელის ინტეგრო-დიფერენციალური განტოლება, გრინის მეთოდის საშუალებით, დაყვანილია არაწრფივ ინტეგრალურ განტოლებაზე, რომლის ამონახსის საპოვნელად გამოყენებულია იაკობის (Jacobi) იტერაცია. დადგენილია იტერაციული პროცესის კრებადობის პირობები, შეფასებულია ცდომილება. მა (Ma) [44], არაწრფივი სასაზღვრო პირობების შემთხვევაში, ამტკიცებს ამონახსნის არსებობას და მის საპოვნელად იყენებს სხვაობიან მეთოდს. ფერაძის (Peradze) [55] სტატიაში ხისტად ჩამაგრებული ძელისთვის განტოლების ამოსახსნელად გამოყენებულია ალგორითმი, რომელიც ეფუძნება გალიორკინის მეთოდს და იაკობი-კარდანოს (Jacobi-Cardano) იტერაციას. რიცხვითი ალგორითმები ტიმოშენკოს დინამიკური ძელისთვის განხილულია [11], [12], [17], [18], [36]-[39], [56] ნაშრომებში. მიახლოებითი მეთოდი ტიმოშენკოს (Timoshenko) არაწრფივი თერმოვისკოელასტიკური ძელის კონტაქტური ამოცანისთვის შემოთავაზებულია ბერნარდი და კოპეტის (Bernardi, Copetti) [11], [12] მიერ. ამოცანის კორექტულობის დამტკიცების შემდეგ შესაბამისი სისტემის, რომელიც შეიცავს სამ განტოლებას, მიახლოებით ამოსახსნელად ავტორებმა გამოიყენეს სასრულ ელემენტთა მეთოდი, ეილერისა (Euler) და კრანკ-ნიკოლსონის (Crank-Nicolson) სქემები, შეისწავლეს დისკრეტული ამოცანა და ჩაატარეს რიცხვითი ექსპერიმენტი. [17]-ში ჩუსა (Choo) და ჩანგის (Chung)-ის მიერ გამოყენებულია არაცხადი სხვაობიანი სქემა, დამტკიცებულია მისი ამოხსნადობა, მდგრადობა, შეფასებულია ცდომილება, ამოხსნილია ტესტური მაგალითი. მე-[18] სტატიის ავტორები ჩუ (Choo), ჩანგი (Chung), კენანი (Kannan) სივრცული და დროის ცვლადების მიმართ იყენებენ სასრულ ელემენტთა მეთოდს და იკვლევენ დისკრეტიზაციის კრებადობის

საკითხს. ყალიჩავასა (Kalichava) [36] და ყალიჩავა (Kalichava), ფერაძის (Peradze) [37], [38] მიერ დასმული ამოცანის ამონახსნის სივრცული ცვლადის მიერ მიახლოების მიზნით გამოყენებულია გალიორკინის მეთოდი და შეფასებულია მისი ცდომილება, ხოლო დისკრეტული სისტემის მიახლოებითი ამონახსნის მისაღებად იგივე ავტორე-ბი [39] შრომაში იყენებენ ნიუტონის იტერაციულ მეთოდს, ხოლო შემდეგ კანტორო-ვიჩის (Kantorovich) [35] ცნობილ შედეგზე დაყრდნობით ადგენენ იტერაციული პრო-ცესის კრებადობის პირობებს და სიჩქარეს. [56] სტატიაში, აღნიშნული განტოლების ერთგვაროვანი შემთხვევისათვის, ფერაძის (Peradze) მიერ შესწავლილია ამონახსნის მიახლოება სივრცული ცვლადის მიმართ. როგავა (Rogava) და წიკლაური (Tsiklauri) [65] კირხჰოფის (Kirchhoff) რხევის მოცემული განტოლების მსგავსი აბსტრაქტული ანალოგისთვის იყენებენ სამშრიან ნახევრადდისკრეტულ სქემას და ამტკიცებენ მის ლოკალურ კრებადობას.

შევნიშნოთ, რომ პარაბოლური ტიპის არაწრფივი ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებათა ზოგიერთი კლასისთვის რიცხვითი მეთოდები გამოკვლეულია ჯან-გველაძის (Jangveladze), კიღურაძისა (Kiguradze) და ნეტას (Neta) [34] მონოგრაფიაში. ოდიშარიას (Odisharia) [54] მიერ რეისნერის (Reissner) განტოლებათა სისტემიდან სამშრიანი სიმეტრიულად დატვირთული ფირფიტისათვის გამოყოფილია ზემოთ ნახსენები განტოლების არაწრფივობის მქონე განტოლება, დამტკიცებულია მისი ამო-ნახსნის არსებობა, ერთადერთობა, მიახლოებითი პროცესის კრებადობა და, ბელმან-ბიჰარის (Bellman-Bihari) ლემის გამოყენებით, მიღებულია იმ დროის ინტერვალის ზედა საზღვარი, რომელზედაც უზრუნველყოფილია ლოკალური ამოხსნადობა.

დასმული ამოცანის მიახლოებითი ამოხსნის მიზნით, განხილული გვაქვს სამ-ეტაპიანი ალგორითმი. სივრცული ცვლადის მიმართ მიახლოების მისაღებად ამონახსნს ვეძებთ გალიორკინის (Galerkin) მეთოდით, რომელშიც ბაზისურ ფუნქციებად ვიყენებთ სინუს-ფუნქციებს. შედეგად მიიღება კოშის ამოცანა ჩვეულებრივ დიფერენციალურ განტოლებათა არაწრფივი სისტემისთვის. შემდეგ ეტაპზე, რომელზეც გათვალისწინებულია ამონახსნის მიახლოება დროის ცვლადის მიმართ, გამოიყენება კრანკ-ნიკოლსონის (Crank-Nicolson) არაცხადი სიმეტრიული სხვაობიანი სქემა. მიახლოების ბოლო საფეხურზე დისკრეტიზების შედეგად მიღებული არაწრფივ განტოლებათა სისტემის ამოსახსნელად გამოიყენება ნიუტონის

(Newton) იტერაციული მეთოდი. ალგორითმის აღწერას მოჰყვება მისი შემადგენელი თითოეული მეთოდის სიზუსტის შეფასება. აპრიორული შეფასებების მეთოდის, შერმან-მორისონის (Sherman-Morrison) ფორმულის და სხვა დებულებებისა და ფორმულების გამოყენებით მიიღება პროექციული მეთოდის და სხვაობიანი სქემის ცდომილებების ზედა საზღვრები. რაც შეეხება იტერაციული მეთოდის ცდიომილებას, მის შესაფასებლად გამოიყენება კანტოროვიჩის (Kantorovich) თეორემა არაწრფივ განტოლებათა სისტემებისათვის ნიუტონის იტერაციული პროცესის კრებადობის შესახებ. ალგორითმის შემადგენელი მეთოდების ცდომილებების შეფასებების საშუალებით მიღებულია ალგორითმის სრული ცდომილების ზედა საზღვარი. გარკვეული პირობების შესრულების შემთხვევაში, მიღებულია შესაბამის გამოსახულებებში მონაწილე ყველა კოეფიციენტის გამოსათვლელი ფორმულა, რაც ალგორითმის სრული ცდომილების ზედა საზღვრის გამოთვლის საშუალებას იძლევა. შემოთავაზებული ალგორითმი გამოყენებულია ტესტური ამოცანის ამოსახსნელად.

მეორე თავში განვიხილავთ ამოცანას ძელის არაწრფივი რხევის შესახებ. ამისათვის გამოვიყენებთ ტიმოშენკოს (Timoshenko) ცნობილ მოდელს [70]. კირხჰოფ-ლავეს (Kirchhoff-Love) კლასიკური მოდელისგან განსხვავებით, ტიმოშენკოს მოდელში გათვალისწინებულია განივი ძალა და ბრუნვითი ინერცია, რაც არსებითად მნიშვნელოვანია ბევრი ამოცანის ამოხსნისას [25], [26].

განვიხილავთ განტოლებათა სისტემას

$$w_{tt} = \left(cd - a + b \int_0^1 w_x^2 \, dx \right) w_{xx} - cd\psi_x \,,$$
$$\psi_{tt} = c\psi_{xx} - c^2 d(\psi - w_x),$$
$$0 < x < 1, \;\; 0 < t \leq T,$$

რომელშიც საძიებელი $w(x,t)$ და $\psi(x,t)$ ფუნქციები ძელის შუა ხაზის განივი გადახრა და განივი კვეთის ბრუნვითი გადაადგილებაა.

სისტემაში არაწრფივი წევრის უკუგდების შედეგად მიიღება ტიმოშენკოს დინამიკური ძელის წრფივი სისტემა, რომლისთვის ამონახსნის არსებობა გამოკვლეულია კიმისა (Kim) და რენარდის (Renardy) მიერ [40]. ამ სისტემისა და მისი ზოგიერთი განზოგადებისთვის გამოკვლეულია რიცხვითი მეთოდების თვისებები. სემპერის (Semper) მიერ [67] შემოთავაზებულია ნახევრადდისკრეტული და სრულადდისკრე-

ტული გალიორკინის მეთოდი რხევადი ძელისთვის და მიღებულია კრებადობის ოპ-ტიმალური რიგი. რამდენიმე სასრულელემენტიანი მოდელი განიხილა რედიმ (Reddy) [63]. [28]-ში ფენგმა (Feng) და სხვებმა შეისწავლეს ნახევრადდისკრეტული და სრულადდისკრეტული კერძო პროექციული სასრულ ელემენტთა მეთოდი და გლუ-ვი ამონახსნის არსებობის პირობებში ძელის სისქეზე დამოუკიდებელ მუდმივათა გამოყენებით მიიღეს კრებადობის ოპტიმალური რიგი. ჩენგმა (Cheng) და ხუემ (Xue) [16] განიხილეს სასრულელემენტიანი მიახლოება და მცირე სისქის პარამეტრის გამოყენებით, მიიღეს ცდომილების ერთგვაროვანი ოპტიმალური შეფასება. [29]-ში ფრანკა (Franca) და ლოულა (Loula) გვთავაზობენ შერეულ სასრულელემენტიან აპროქსიმაციას. წინასწარ დატვირთული ძელებისთვის სხვაობიანი სქემების სიზუს-ტეს იკვლევდნენ დუკეში (Ducceschi) და ბილბაო (Bilbao) [24]. ფუ-ლე ლი (Fu-le Li), ჩი-ჩონგ სანი (Zhi-Zhong Sun) [30] და ალმეიდა ჯუნიორი (Almeida Junior) [1] სწავლობდნენ რამდენიმე სხვაობიან სქემას. სხვადასხვა სასაზღვრო პირობებში ძელის თავისუფალი რხევის ანალიზის მიზნით, ტორაბიმ (Torabi) [69] და სხვებმა გა-მოიყენეს ვარიაციული იტერაციული მეთოდი და შეაფასეს სიზუსტე და კრებადობის სიჩქარე.

ახლა რაც შეეხება არაწრფივი ძელის ტიმოშენკოს (Timoshenko) მოდელს, რომე-ლიც აღიწერება ზემოთ მყვანილი სისტემით ან მსგავსი სისტემებით. კლაეისენმა (Claeyssen) [19], საპირმა (Sapir) და რეისმა (Reiss) [66] გამოიყენეს ეს მოდელი ზოგიერთი ამოცანის ამოსახსნელად. ტუკსნაკმა (Tucsnak) [72] და ემერიმ (Ammari) [2] გამოიკვლიეს აღნიშნული სისტემა, ხოლო მისი გარკვეული განზოგადებისათვის ამონახსნის არსებობა და ასიმპტოტური ყოფაქცევა, ნარკისოსა (Narciso) და კოზინის (Cousin) [53] მიერ ასევე გამოკვლეულია ამოხსნადობის პრობლემა აღნიშნული ტიპის სისტემისთვის, რომელშიც არაწრფივი ინტეგრალური წევრის საზღვრები წარმოადგენს დროის ცვლადზე დამოკიდებულ ფუნქციებს. რიცხვითი ალგორითმი ტიმოშენკოს არაწრფივი თერმოვისკოელასტიკური ძელის კონტაქტური ამოცანებისთვის შემოთავაზებულია ბერნარდისა (Bernardi) და კოპეტის (Copetti) [11], [13] მიერ. ამოცანის კორექტულობის დამტკიცების შემდეგ, შესაბამისი სისტემის, რომელიც შეიცავს სამ განტოლებას, მიახლოებითი ამოხსნის მიზნით, ავტორებმა გა-მოიყენეს სასრულ ელემენტთა მეთოდი, ეილერისა (Euler) და კრანკ-ნიკოლსონის

(Crank-Nicolson) სქემები, შეისწავლეს დისკრეტული ამოცანა და ჩაატარეს რიცხვითი ექსპერიმენტი. საწყისი ფუნქციების ანალიტიკურობის შემთხვევაში ზემოთ მოცემული სისტემის ამოსახსნელად ფერაძემ (Peradze) [57] გამოიყენა გალიორკინის (Galerkin) მეთოდი, კრანკ-ნიკოლსონის (Crank-Nicolson) ტიპის სხვაობიანი სქემა, პიკარის (Picard) იტერაციული მეთოდი და შეაფასა ალგორითმის სიზუსტე, ხოლო [58]-ში გამოიყენა იაკობის (Jacobi) იტერაციული მეთოდი და კარდანოს (Cardano) ფორმულა.

ჩვენს მიზანს წარმოადგენს ტიმოშენკოს (Timoshenko) დინამიკური ძელის არაწრფივი სისტემისათვის მიახლოებითი ალგორითმის აგება და მისი სიზუსტის შეფასება [60].

შევნიშნოთ, რომ აღნიშნული სისტემის არაწრფივი წევრი პირველად გამოყენებული იქნა კირხჰოფის (Kirchhoff) [41] მიერ 1876 წელს რხევადი სიმის მოდელში. ეს წევრი თავის ზოგიერთ მოდიფიკაციასა და განზოგადებასთან ერთად გვხვდება ბევრ განტოლებაში, რომლებიც აღწერენ ძელების, ფირფიტებისა და გარსების მდგომარეობას. აღნიშნული სახის განტოლებები განხილულია შემდეგ პუბლიკაციებში: ბოლი (Ball) [7], ბარგერი (Berger) [9], ბურგრინი (Burgreen) [15], ერინგენი (Eringen) [27], ჰენრიკო დე-ბრიტო (Henrique de Brito) [32], მედეიროსი (Medeiros) [46], ფერაძე (Peradze) [59], ვაჰი (Wah) [73], ვოინოვსკი-კრიგერი (Woinowsky-Krieger) [74] და ა. შ. ამასთან დაკავშირებით ვვარაუდობთ, რომ ჩვენი მიდგომა გამოიწვევს გარკვეულ ინტერესს და გამოყენებული იქნება აღნიშნული არაწრფივობის შემცველი განტოლებებისა და სისტემების ამოსახსნელად.

თავდაპირველად, მოცემული ამოცანა დაიყვანება საწყის სასაზღვრო ამოცანაზე პირველი რიგის განტოლებათა სისტემისთვის. შემდეგ, მიღებული ამოცანის მიახლოებითი ამოხსნის მიზნით, ვიხილავთ სამ ეტაპიან ალგორითმს. სივრცული ცვლადის მიმართ მიახლოების ეტაპზე ამონახსნს ვეძებთ სასრულ ელემენტთა მეთოდით, რისთვისაც ვიყენებთ უბან-უბან წრფივ ბაზისურ ფუნქციებს. შედეგად მიიღება კოშის ამოცანა ჩვეულებრივ დიფერენციალურ განტოლებათა არაწრფივი სისტემისთვის.

შემდეგ ეტაპზე, რომელზეც გათვალისწინებულია ამონახსნის მიახლოება დროის ცვლადის მიმართ, გამოიყენება არაცხადი სიმეტრიული სქემა, რომელიც წარმო-

ადგენს კრანკ-ნიკოლსონის (Crank-Nicolson) სქემის ვარიანტს. არაცხადობით გამოწ-ვეული სიძნელე კომპენსირდება ამ სისტემის მაღალი სიზუსტით და მდგრადობით დამრგვალებებით გამოწვეული ცდომილებების მიმართ.

მიახლოების ბოლო ეტაპზე დისკრეტიზების შედეგად მიღებული არაწრფივ განტოლებათა სისტემის ამოსახსნელად გამოიყენება პიკარის ტიპის იტერაციული პროცესი. ალგორითმის აღწერის შემდეგ ყურადღება ეთმობა ალგორითმის თითოეული ნაწილის ცდომილების შეფასებას. აპრიორული შეფასებების მეთოდის გამოყენებით მიიღება სასრულ ელემენტთა მეთოდისა და სხვაობიანი სქემის ცდომილებების ზედა საზღვრები. რაც შეეხება იტერაციული პროცესის ცდომილებას, მის შესაფასებლად გამოიყენება კუმშვითი ასახვის პრინციპი. ალგორითმის შემადგენელი ნაწილების ცდომილებების შეფასებების საშუალებით მიღებულია ალგორითმის სრული ცდომილების ზედა საზღვარი. გარკვეული პირობების შესრულების შემთხვევაში მიღებულია შესაბამის გამოსახულებებში მონაწილე ყველა პარამეტრის გამოსათვლელი ფორმულა, რაც ალგორითმის სრული ცდომილების ზედა საზღვრის გამოთვლის საშუალებას იძლევა. შემოთავაზებული ალგორითმი გამოყენებულია ტესტური ამოცანების ამოსახსნელად. მოყვანილია გამოთვლების შე-დეგები.

თავი I

მიახლოებითი ალგორითმი დინამიკური ძელის ინტეგრო-დიფერენციალური არაერთგვაროვანი განტოლებისათვის

რეზიუმე. ტიმოშენკოს (Timoshenko) ჰიპოთეზებზე დაყრდნობით, განხილულია ჰენრიკო დე-ბრიტოს (Henriques de Brito) მიერ მიღებული ინტეგრო-დიფერენციალური არაერთგვაროვანი განტოლება

$$\frac{\partial^2 u}{\partial t^2}(x,t) + \frac{\partial^4 u}{\partial x^4}(x,t) - h\frac{\partial^4 u}{\partial x^2 \partial t^2}(x,t) - \left(\lambda + \int_0^L \left(\frac{\partial u}{\partial \xi}(\xi,t)\right)^2 d\xi\right)\frac{\partial^2 u}{\partial x^2}(x,t) = f(x,t),$$

რომელიც აღწერს ძელის რხევას. კოში-დირიხლეს საწყის-სასაზღვრო პირობების შემთხვევაში, აგებულია რიცხვითი ალგორითმი, რომლის შემადგენელი ნაწილებია გალიორკინის მეთოდი, არაცხადი სიმეტრიული სხვაობიანი სქემა და ნიუტონის იტერაციული პროცესი. შესწავლილია ალგორითმის სიზუსტის საკითხი. ამოხსნილია ტესტური მაგალითი.

ნაწილი I. ამოცანის დასმა

1. განტოლება და საწყის-სასაზღვრო პირობები. [36]–[39] შრომებში აგებულია და შესწავლილი ერთი რიცხვითი ალგორითმის ეტაპები

$$\frac{\partial^2 u}{\partial t^2}(x,t) + \frac{\partial^4 u}{\partial x^4}(x,t) - h\frac{\partial^4 u}{\partial x^2 \partial t^2}(x,t) - \left(\lambda + \int_0^L \left(\frac{\partial u}{\partial x}(x,t)\right)^2 dx\right)\frac{\partial^2 u}{\partial x^2}(x,t) = f(x,t), \tag{1.1}$$

$$0 < x < L, \quad 0 < t \le \mathrm{T},$$

$$u(x,0) = u^0(x), \qquad \frac{\partial u}{\partial t}(x,0) = u^1(x), \tag{1.2}$$

$$u(0,t) = u(L,t) = 0, \quad \frac{\partial^2 u}{\partial x^2}(0,t) = \frac{\partial^2 u}{\partial x^2}(L,t) = 0,$$

სახის საწყის-სასაზღვრო ამოცანისთვის, სადაც h არაუარყოფითი და λ დადებითი მუდმივებია. აგრეთვე, $u^0(x) \in \overset{0}{W}{}_2^2(0,L)$, $u^1(x) \in \overset{0}{W}{}_2^1(0,L)$, $f(x,t) \in L_2\left(0,L;\ \overset{0}{W}{}_2^1(0,L)\right)$ მოცემული ფუნქციებია, ამასთან, $u^0(0) = u^1(0) = u^0(L) = u^1(L) = 0$.

(1.1) განტოლება, რომელიც ტიმოშენკოს (Timoshenko) თეორიაზე [70] დაყრდნობით მიღებულია ჰენრიკო დე-ბრიტოს (Henriques de Brito) [32], [33] მიერ, აღწერს ძელის რხევას. $u(x,t)$ და $f(x,t)$ ძელის გადაადგილებისა და ძალის ფუნქციებია, შესაბამისად.

2. ამოხსნადობა. [32]-ში დამტკიცებულია კოშის ამოცანის განზოგადებული ამონახსნის არსებობა და ერთადერთობა

$$(I + hA)u'' + A^2u + \left[\lambda + M\left(\left|A^{\frac{1}{2}}u\right|^2\right)\right]Au = f$$

ოპერატორული განტოლებისთვის, რომლის კერძო შემთხვევას წარმოადგენს (1.1), (1.2) ამოცანა. გამოვიყენოთ [32]-ის შედეგი (1.1), (1.2) ამოცანის მიმართ.

$(\ \cdot\ ,\ \cdot\ )$ სიმბოლოთი აღვნიშნოთ სკალარული ნამრავლი $L_2(0,L)$ სივრცეში. ვთქვათ, $\overset{0}{W}{}_2^2(0,L)$ შეიცავს ფუნქციებს $W_2^2(0,L)$ სივრციდან, რომლებიც ნულის ტოლია საზღვარზე. [32]-ის თანახმად, თუ

$$u^0(x) \in \overset{0}{W}{}_2^2(0,L), \quad u^1(x) \in \overset{0}{W}{}_2^1(0,L), \quad f(x,t) \in L_2\left(0,T;\ \overset{0}{W}{}_2^2(0,L)\right), \tag{2.1}$$

მაშინ არსებობს ისეთი $u = u(x,t)$ ფუნქცია,

$$u \in L^\infty\left(0,T;\ \overset{0}{W}{}_2^2(0,L)\right), \quad \frac{\partial u}{\partial t} \in L^\infty\big(0,T;\ W_2^1(0,L)\big), \tag{2.2}$$

რომელიც წარმოადგენს (1.1), (1.2) ამოცანის განზოგადებულ ამონახსნს, ე. ი. ყოველი $v = v(x) \in \overset{0}{W}{}_2^2(0,L)$-თვის შესრულდება

$$\frac{d}{dt}\left[\left(\frac{\partial u}{\partial t}\ ,v\right) + h\left(\frac{\partial^2 u}{\partial x \partial t}, \frac{\partial v}{\partial x}\right)\right] + \left(\frac{\partial^2 u}{\partial x^2}, \frac{\partial^2 v}{\partial x^2}\right) + \left(\lambda + \int_0^L \left(\frac{\partial u}{\partial x}\right)^2 dx\right)\left(\frac{\partial u}{\partial x}, \frac{\partial v}{\partial x}\right) = (f,v) \tag{2.3}$$

და

$$u(x,0) = u^0(x), \quad \frac{\partial u}{\partial x}(x,0) = u^1(x). \tag{2.4}$$

ვიგულისხმოთ, რომ სრულდება პირობა (2.1). (2.2)-ის გათვალისწინებით (1.1), (1.2) ამოცანის ამონახსნი შეგვიძლია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით

$$u(x,t) = \sum_{i=1}^{\infty} u_i\,(t) sin\frac{i\pi x}{L}. \tag{2.5}$$

ასევე, $f(x,t)$ ფუნქციაც წარმოვადგინოთ შემდეგი მწკრივის სახით

$$f(x,t) = \sum_{i=1}^{\infty} f_i\,(t) sin\frac{i\pi x}{L}. \tag{2.6}$$

(2.1)-(2.4) ფორმულებიდან გამომდინარეობს, რომ თუ v ფუნქციებად აირჩევა $\sin\frac{i\pi x}{L}$ ფუნქციები, $i = 1, 2, \dots$, მაშინ $u_i(t)$ კოეფიციენტებისთვის მიიღება

$$\left(1 + h\left(\frac{i\pi}{L}\right)^2\right) u_i''(t) + \left(\frac{i\pi}{L}\right)^4 u_i(t) + \left(\lambda + \frac{L}{2}\sum_{j=1}^{\infty}\left(\frac{j\pi}{L}\right)^2 u_j^2(t)\right)\left(\frac{i\pi}{L}\right)^2 u_i(t) = f_i(t), \tag{2.7}$$

$$i = 1, 2, \dots\,, \quad 0 < t \le T,$$

ჩვეულებრივ დიფერენციალურ განტოლებათა სისტემა

საწყისი პირობებით

$$u_i(0) = u_i^0, \quad u_i'(0) = u_i^1, \quad i = 1, 2, \dots\,, \tag{2.8}$$

სადაც

$$f_i(t) = \frac{2}{L}\int_0^L f(x,t)\sin\frac{i\pi x}{L}\,dx\,,$$
$$u_i^0 = \frac{2}{L}\int_0^L u^0(x)\sin\frac{i\pi x}{L}\,dx, \quad u_i^1 = \frac{2}{L}\int_0^L u^1(x)\sin\frac{i\pi x}{L}\,dx\,. \tag{2.9}$$

შევნიშნოთ, რომ (2.5) და (2.2)-დან გამომდინარეობს

$$\sum_{i=1}^{\infty} i^4 u_i^2(t)\,, \qquad \sum_{i=1}^{\infty} i^2 u_i^2(t) \tag{2.10}$$

მწკრივების კრებადობა.

3. კერძო შემთხვევა. დავუშვათ, რომ (1.2)-ში საწყისი ფუნქციებისთვის მართებულია წარმოდგენა

$$u^0(x) = \sum_{i=1}^{\infty} u_i^0 \sin\frac{i\pi x}{L}, \quad u^1(x) = \sum_{i=1}^{\infty} u_i^1 \sin\frac{i\pi x}{L}, \;\; 0 \le x \le L. \tag{3.1}$$

ქვემოთ ზოგჯერ ვიგულისხმებთ, რომ (3.1) გაშლის კოეფიციენტებისთვის სრულდება უტოლობები

$$(u_i^0)^2 \le \frac{\omega_0}{i^{p_0+5}}\,, \qquad (u_i^1)^2 \le \frac{\omega_1}{i^{p_1+3}}\,, \qquad i = 1, 2, \dots , \tag{3.2}$$

ხოლო $f_i(t)$ ფუნქციებისთვის (2.6)-დან ადგილი აქვს უტოლობას

$$f_i^2(t) \le \frac{\omega}{i^{p+1}}\,, \;\; 0 \le t \le T, \quad i = 1, 2, \dots \tag{3.3}$$

აქ $p_l, \omega_l,\;\; l = 0{,}1,$ და $p,\; \omega$ დადებითი რიცხვებია.

ნაწილი II. ალგორითმი

4. გალიორკინის მეთოდი. მოვახდინოთ ამონახსნის მიახლოება x ცვლადის მიმართ. ამისათვის გამოვიყენოთ გალიორკინის მეთოდი. ამონახსნი ვეძებოთ სასრული მწკრივის სახით

$$u_n(x,t) = \sum_{i=1}^{n} u_{ni}\,(t) \sin\frac{i\pi x}{L}\,, \tag{4.1}$$

სადაც $u_{ni}(t)$ კოეფიციენტები

$$\left(1 + h\left(\frac{j\pi}{L}\right)^2\right)u''_{ni}(t) + \left(\frac{i\pi}{L}\right)^4 u_{ni}(t) + \left(\lambda + \frac{L}{2}\sum_{j=1}^{n}\left(\frac{j\pi}{L}\right)^2 u_{nj}^2(t)\right)\left(\frac{i\pi}{L}\right)^2 u_{ni}(t) = f_i(t), \tag{4.2}$$

$$i = 1, 2, \dots, n, \quad 0 < t \le T,$$

დიფერენციალურ განტოლებათა სისტემის ამონახსნებია შემდეგი საწყისი პირობებით

$$u_{ni}(0) = u_i^0, \quad u'_{ni}(0) = u_i^1, \qquad i = 1, 2, \dots, n\,. \tag{4.3}$$

5. სხვაობიანი სქემა. (4.2), (4.3) ამოცანის ამოსახსნელად გამოვიყენოთ სხვაობიანი მეთოდი. ამისათვის, დროის $[0, T]$ ინტერვალზე, შემოვიღოთ ბადე $\tau = \frac{T}{M}$ ბიჯით, $0 < \tau < 1$, და $t_m = m\tau,\;\; m = 0, 1, \dots, M,$ კვანძებით.

m-ურ შრეზე, ე. ი. $t = t_m$-თვის, $u_{ni}(t_m)$-ის მიახლოებითი მნიშვნელობა აღვნიშნოთ u_{ni}^m-ით.

გამოვიყენოთ კრანკ-ნიკოლსონის ტიპის სქემა

$$\left(1+h\left(\frac{i\pi}{L}\right)^2\right)\frac{u_{ni}^{m+1}-2u_{ni}^{m}+u_{ni}^{m-1}}{\tau^2}$$
$$+\left\{\left(\frac{i\pi}{L}\right)^4+\left(\frac{i\pi}{L}\right)^2\left(\lambda+\frac{L}{4}\sum_{j=1}^{n}\left(\frac{j\pi}{L}\right)^2\left[\left(\frac{u_{nj}^{m+1}+u_{nj}^{m}}{2}\right)^2+\left(\frac{u_{nj}^{m}+u_{nj}^{m-1}}{2}\right)^2\right]\right)\right\}$$
$$\times\frac{u_{ni}^{m+1}+2u_{ni}^{m}+u_{ni}^{m-1}}{4}=\ f_i^m, \tag{5.1}$$
$$m=1,2,\dots,M-1,\ \ i=1,2,\dots,n,$$
$$u_{ni}^0=u_i^0\ ,\quad \frac{u_{ni}^1-u_{ni}^0}{\tau}=u_i^1+\frac{\tau}{2}u_i^2\ ,\quad i=1,2,\dots,n, \tag{5.2}$$
$$u_i^2=\frac{1}{1+h\left(\frac{i\pi}{L}\right)^2}-\left\{f_i^0-\left[\left(\frac{i\pi}{L}\right)^2+\lambda+\frac{L}{2}\sum_{j=1}^{n}\left(\frac{j\pi}{L}\right)^2\left(u_{nj}^0\right)^2\right]\left(\frac{i\pi}{L}\right)^2u_{ni}^0\right\}.$$

აქ და (5.1)-ში

$$f_i^m\text{=}f_i(t_m). \tag{5.3}$$

ამონახსნის მიახლოება t_m კვანძში წარმოვადგინოთ შემდეგი ჯამის სახით

$$u_n^m(x)=\ \sum_{i=1}^{n}u_{ni}^m\sin\frac{i\pi x}{L}\ . \tag{5.4}$$

6. ნიუტონის იტერაციული პროცესი. განვიხილოთ (5.1), (5.2) სისტემის ამოხსნის ნიუ-ტონის იტერაციული მეთოდი.

შემოვიღოთ აღნიშვნები

$$\begin{aligned} v_{ni}^{m+1}&=\frac{u_{ni}^{m+1}-u_{ni}^{m}}{\tau},\\ w_{ni}^{m+1}&=\frac{i\pi}{L}\frac{u_{ni}^{m+1}+u_{ni}^{m}}{2}\end{aligned} \tag{6.1}$$

და გადავწეროთ

$$\left(1+h\left(\frac{i\pi}{L}\right)^2\right)\frac{u_{ni}^{m+1}-2u_{ni}^{m}+u_{ni}^{m-1}}{\tau^2}$$
$$+\left\{\left(\frac{i\pi}{L}\right)^4+\left(\frac{i\pi}{L}\right)^2\left[\lambda+\frac{L}{4}\sum_{j=1}^{n}\left(\frac{j\pi}{L}\right)^2\left(\left(\frac{u_{nj}^{m+1}-u_{ij}^{m}}{2}\right)^2+\left(\frac{u_{nj}^{m}-u_{ni}^{m-1}}{2}\right)^2\right)\right]\right\}$$
$$\times\frac{u_{ni}^{m+1}+2u_{ni}^{m}+u_{ni}^{m-1}}{4}\ =f_i^m \tag{6.2}$$

სისტემა შემდეგნაირად

$$\left(1+h\left(\frac{i\pi}{L}\right)^2\right)\left(\frac{v_{ni}^{m+1}-v_{ni}^{m}}{\tau}\right)$$
$$+\left\{\left(\frac{i\pi}{L}\right)^3+\frac{i\pi}{L}\left[\lambda+\frac{L}{4}\sum_{j=1}^{n}\left(\left(w_{nj}^{m+1}\right)^2+\left(w_{nj}^{m}\right)^2\right)\right]\right\}\frac{w_{ni}^{m+1}+w_{ni}^{m}}{2}=f_i^m, \tag{6.3}$$

$$\frac{w_{ni}^{m+1}-w_{ni}^{m}}{\tau}=\frac{i\pi}{L}\frac{v_{ni}^{m+1}+v_{ni}^{m}}{2}\ , \quad m=1,2,\dots,M-1, \tag{6.4}$$

$$v_{ni}^1=u_i^1+\frac{1}{2}u_i^2, \qquad w_{ni}^1=\frac{i\pi}{L}\left[u_i^0+\frac{1}{2}\tau\left(u_i^1+\frac{1}{2}\tau u_i^2\right)\right]. \tag{6.5}$$

(6.4)-დან v_{ni}^{m+1} გამოვსახოთ v_{ni}^{m}-ის, w_{ni}^{m}-ისა და w_{ni}^{m+1}-ის საშუალებით

$$v_{ni}^{m+1}=-v_{ni}^{m}+\frac{2L}{i\pi}\frac{w_{ni}^{m+1}-w_{ni}^{m}}{\tau} \tag{6.6}$$

და გამოვიყენოთ ეს ტოლობა (6.3)-ში. შედეგად მივიღებთ

$$\varphi_i(w_{n1}^m,w_{n2}^m,\dots,w_{nn}^m)=0, \tag{6.7}$$
$$m=2,3,\dots,M,\quad i=1,2,\dots,n,$$

სადაც

$$\varphi_i(w_{n1}^m,w_{n2}^m,\dots,w_{nn}^m)=\left(1+h\left(\frac{i\pi}{L}\right)^2\right)\frac{2L}{\tau^2 i\pi}(w_{ni}^m-w_{ni}^{m-1})$$
$$+\left\{\left(\frac{i\pi}{L}\right)^3+\frac{i\pi}{L}\left[\lambda+\frac{L}{4}\sum_{j=1}^{n}\left(\left(w_{nj}^{m}\right)^2+\left(w_{nj}^{m-1}\right)^2\right)\right]\right\}\frac{w_{ni}^{m}}{2}$$
$$+\frac{i\pi}{L}\frac{L}{4}\left(\sum_{j=1}^{n}\left(w_{nj}^{m}\right)^2\right)\frac{w_{ni}^{m-1}}{2}+\Psi_i \tag{6.8}$$

და

$$\Psi_i=-2\left(1+h\left(\frac{i\pi}{L}\right)^2\right)\frac{v_{ni}^{m-1}}{\tau}$$
$$+\left\{\left(\frac{i\pi}{L}\right)^3+\frac{i\pi}{L}\left[\lambda+\frac{L}{4}\sum_{j=1}^{n}\left(\left(w_{nj}^{m-1}\right)^2\right)\right]\right\}\frac{w_{ni}^{m-1}}{2}-\ f_i^m. \tag{6.9}$$

(6.7) სისტემის ამონახსნი ვეძებოთ მიახლოებით, შრიდან შრეზე გადასვლით. ეს ნიშნავს შემდეგს: ვთქვათ, $(m-1)$-შრეზე ამონახსნი ნაპოვნია. ვიგულისხმოთ, რომ აღნიშნული მიახლოება მიღებულია ისეთი სიზუსტით, რომ შეიძლება შესაბამისი ცდომილების უგულებელყოფა. m-ურ შრეზე ამონახსნის მისაღებად გამოვიყენოთ ნიუტონის იტერაციული პროცესი

$$\boldsymbol{w}_{nk+1}^m=\boldsymbol{w}_{nk}^m-J^{-1}(\boldsymbol{w}_{nk}^m)\ \varphi(\boldsymbol{w}_{nk}^m),\quad k=0,1,\dots, \tag{6.10}$$

სადაც $\boldsymbol{w}_{nk}^m = (w_{nik}^m)_{i=1}^n$, w_{nik}^m არის w_{ni}^m სიდიდის k-ური იტერაციული მიახლოება, $J(\boldsymbol{w}_{nk}^m)$-იაკობიანი (იაკობის მატრიცი), $\varphi(\boldsymbol{w}_{nk}^m) = \left(\varphi_i(\boldsymbol{w}_{nk}^m)\right)_{i=1}^n$. w_{nik}^m სიდიდეები გამოიყენება u_{ni}^m პარამეტრების მიახლოებების მისაღებად, ამ საკითხზე ქვემოთ შევჩერდებით.

ნაწილი III. ალგორითმის სიზუსტე

7. გალიორკინის მეთოდის სიზუსტე. ახლა ჩვენი მიზანია შევაფასოთ გალიორკინის მეთოდის ცდომილება, რომელსაც განვსაზღვრავთ შემდეგნაირად

$$\Delta u_n(x,t) = u_n(x,t) - u(x,t). \tag{7.1}$$

7.1. ზუსტი ამონახსნის მთავარი ნაწილის ნორმის შეფასება. (3.1) გაშლის გათვალისწინებით შემოვიღოთ ფუნქცია

$$\pi_n u(x,t) = \sum_{i=1}^{n} u_i\,(t) \sin\frac{i\pi x}{L}\,, \tag{7.2}$$

რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ ამოცანის ზუსტი ამონახსნის მთავარი ნაწილი. შევაფასოთ მისი ნორმა. $\|\quad\|$-ით აღვნიშნოთ ნორმა $L_2(0,L)$-სივრცეში.

ლ ე მ ა 7 . 1 . სრულდება შეფასება

$$\left\|\frac{\partial^l}{\partial x^l}\pi_n u(x,t)\right\| \le c_{1l-1}(t), \tag{7.3}$$

$$0 < t \le T, \quad l = 1,2.$$

$c_{10}(t)$-ისა და $c_{11}(t)$-ის ფორმულები მოცემულია ქვემოთ.

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ ა . გავამრავლოთ (2.7) განტოლება $Lu_i'(t)$-ზე და ავჯამოთ მიღებული ტოლობა $i = 1, 2, \ldots$ -ის მიმართ.

თუ გამოვიყენებთ (2.5)-ს, (2.9)-ს და აღნიშვნას

$$\Phi(t) = \|u_t(x,t)\|^2 + h\|u_{xt}(x,t)\|^2 + \|u_{xx}(x,t)\|^2 + \frac{1}{2}(\lambda + \|u_x(x,t)\|^2)^2, \tag{7.4}$$

მაშინ შედეგი ჩაიწერება შემდეგი სახით

$$\Phi'(t) = L\sum_{i=1}^{\infty} f_i(t)\, u_i'(t).$$

(2.5), (2.6)-ის თანახმად, $0 < t \le T$-თვის, მივიღებთ

$$\Phi(t) = \Phi(0) + L\int_0^t \sum_{i=1}^{\infty} f_i(\tau)\, u_i'(\tau) d\tau \le \Phi(0) + L\int_0^t \left(\sum_{i=1}^{\infty} f_i^2(\tau)\right)^{\frac{1}{2}} \left(\sum_{i=1}^{\infty} u_i'^2(\tau)\right) d\tau$$

$$= \Phi(0) + 2\int_0^t \left(\frac{L}{2}\sum_{i=1}^{\infty} f_i^2(\tau)\right)^{\frac{1}{2}} \left(\frac{L}{2}\sum_{i=1}^{\infty} u_i'^2(\tau)\right) d\tau$$

$$= \Phi(0) + 2\int_0^t \|f(x,\tau)\|\, \|u_\tau(x,\tau)\| d\tau. \tag{7.5}$$

აქედან, ყოველი $\varepsilon > 0$-თვის,

$$\Phi(t) \le \Phi(0) + \frac{1}{\varepsilon}\int_0^t \|f(x,\tau)\|^2\, d\tau + \int_0^t \varepsilon \|u_\tau(x,\tau)\|^2\ d\tau. \tag{7.6}$$

(7.6)-ში დავუშვათ $\varepsilon = 1 + h\left(\frac{\pi}{L}\right)^2$ და გამოვიყენოთ (7.4) ფორმულა Gronwall-ის ლემასთან ერთად. მივიღებთ

$$\Phi(t) \le \Phi(0) + \frac{1}{1 + h\left(\frac{\pi}{L}\right)^2}\int_0^t \|f(x,\tau)\|^2\, d\tau + \int_0^t \left(\|u_\tau(x,\tau)\|^2 + h\left(\frac{\pi}{L}\right)^2 \|u_\tau(x,\tau)\|^2\right) d\tau$$

$$\le \Phi(0) + \frac{1}{1 + h\left(\frac{\pi}{L}\right)^2}\int_0^t \|f(x,\tau)\|^2\, d\tau + \int_0^t (\|u_\tau(x,\tau)\|^2 + h\|u_{x\tau}(x,\tau)\|^2)\, d\tau$$

$$\le\ \Phi(0) + \frac{1}{1 + h\left(\frac{\pi}{L}\right)^2}\int_0^t \|f(x,\tau)\|^2\, d\tau + \int_0^t \Phi(\tau)\, d\tau \le \varkappa e^t, \tag{7.7}$$

სადაც

$$\varkappa =\ \Phi(0) + \frac{1}{1 + h\left(\frac{\pi}{L}\right)^2}\int_0^T \|f(x,t)\|^2\, dt. \tag{7.8}$$

ამ ფორმულაში დავითვალოთ $\Phi(0)$. (7.4)-ისა და (1.2)-ის გამოყენებით მივიღებთ

$$\Phi(0) = \|u^1(x)\|^2 + h\left\|u^{1'}(x)\right\|^2 + \left\|u^{0''}(x)\right\|^2 + \frac{1}{2}\left(\lambda + \left\|u^{0'}(x)\right\|^2\right)^2 > 0. \tag{7.9}$$

(7.7)-ისა და (7.4)-ის გამოყენების შედეგად გვექნება

$$\|u_t(x,t)\|^2 + h\|u_{xt}(x,t)\|^2 + \|u_{xx}(x,t)\|^2 + \frac{1}{2}(\lambda + \|u_x(x,t)\|^2)^2 \le \varkappa e^t. \tag{7.10}$$

გამოვიყენოთ (7.10). თუ, გარდა ამისა გავითვალისწინებთ, რომ

$$\|u_{xx}(x,t)\| \geq \|\pi_n u_{xx}(x,t)\| \geq \frac{\pi}{L}\|\pi_n u_x(x,t)\|,$$

მივიღებთ (7.3)-ს $l = 1$-თვის, სადაც

$$c_{10}(t) = \left(\left(\left(\frac{\pi}{L}\right)^4 + 2\lambda\left(\frac{\pi}{L}\right)^2 + 2\varkappa e^t\right)^{\frac{1}{2}} - \left(\frac{\pi}{L}\right)^2 - \lambda\right)^{\frac{1}{2}} \leq (2\varkappa e^t)^{\frac{1}{2}} \tag{7.11}$$

და (7.3)-ს $l = 2$-თვის, სადაც

$$c_{11}(t) = (\varkappa e^t)^{\frac{1}{2}}. \tag{7.12}$$

ლემა დამტკიცებულია.

7.2. მიახლოებითი ამონახსნის ნორმის შეფასება. შევაფასოთ მიახლოებითი ამონახსნის ნორმა.

ლ ე მ ა 7 . 2 . მართებულია უტოლობა

$$\left\|\frac{\partial^l}{\partial x^l} u_n(x,t)\right\| \leq c_{1l+1}(t), \tag{7.13}$$

$$0 < t \leq T, \qquad l = 1, 2.$$

$c_{12}(t)$-ისა და $c_{13}(t)$-ის ფორმულები მოცემულია ქვემოთ.

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ ა . გავამრავლოთ (4.2) განტოლება $Lu'_{ni}(t)$-ზე და ავჯამოთ მიღებული ტოლობა $i = 1, 2, \dots, n$-ის მიმართ.

(4.1)-ის გამოყენებით, შედეგი დაიწერება შემდეგი სახით

$$\Phi'_n(t) = L\sum_{i=1}^{n} f_i(t)\, u'_{ni}(t),$$

სადაც

$$\Phi_n(t) = \|u_{nt}(x,t)\|^2 + h\|u_{nxt}(x,t)\|^2 + \|u_{nxx}(x,t)\|^2 + \frac{1}{2}(\lambda + \|u_{nx}(x,t)\|^2)^2. \tag{7.14}$$

ამრიგად, როცა $0 < t \leq T$, გვაქვს

$$\Phi_n(t) = \Phi_n(0) + L\int_0^t \sum_{i=1}^{n} f_i(\tau)\, u'_{ni}(\tau)d\tau \leq \Phi_n(0) + L\int_0^t \left(\sum_{i=1}^{n} f_i^2(\tau)\right)^{\frac{1}{2}}\left(\sum_{i=1}^{n} u'^2_{ni}(\tau)\right)^{\frac{1}{2}} d\tau$$

$$= \Phi_n(0) + 2\int_0^t \left(\frac{L}{2}\sum_{i=1}^{n} f_i^2(\tau)\right)^{\frac{1}{2}}\left(\frac{L}{2}\sum_{i=1}^{n} u'^2_{ni}(\tau)\right)^{\frac{1}{2}} d\tau$$

$$= \Phi_n(0) + 2\int_0^t \|\pi_n f(x,\tau)\|\,\|u_{n\tau}(x,\tau)\| d\tau, \qquad (7.15)$$

სადაც

$$\pi_n f(x,\tau) = \sum_{i=1}^{n} f_i(t)\sin\frac{i\pi x}{L}\,. \qquad (7.16)$$

თუ შევადარებთ (7.14)-ს, (7.15)-ს, (7.4)-სა და (7.5)-ს, შევნიშნავთ მსგავსებას. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია გავაგრძელოთ დამტკიცება წინა ლემის დამტკიცების მსგავსად. მივიღებთ

$$\Phi_n(t) \le \varkappa_n e^t, \qquad (7.17)$$

სადაც

$$\varkappa_n = \Phi_n(0) + \frac{1}{1 + h\left(\frac{\pi}{L}\right)^2}\int_0^T \|\pi_n f(x,t)\|^2\, dt. \qquad (7.18)$$

თუ გამოვიყენებთ (7.14)-სა და (7.17)-ს, (4.1)-დან გამომდინარე

$$\|u_{nxx}(x,t)\| \ge \frac{\pi}{L}\|u_{nx}(x,t)\|$$

უტოლობასთან ერთად, მივალთ დასკვნამდე, რომ (7.13) სრულდება $l = 1$-თვის, ამასთან, (7.11)-ის მსგავსად,

$$c_{12}(t) = \left(\left(\left(\frac{\pi}{L}\right)^4 + 2\lambda\left(\frac{\pi}{L}\right)^2 + 2\varkappa_n e^t\right)^{\frac{1}{2}} - \left(\frac{\pi}{L}\right)^2 - \lambda\right)^{\frac{1}{2}} \le c_{10}(t)\,. \qquad (7.19)$$

გარდა ამისა, (7.14)-ისა და (7.17)-ის საფუძველზე ვასკვნით, რომ (7.13) სრულდება $l =$ 2-თვის. ამასთან, (7.12)-ის მსგავსად,

$$c_{13}(t) = (\varkappa_n e^t)^{\frac{1}{2}}. \qquad (7.20)$$

ლემა დამტკიცებულია.

7.3. $c_{1l}(t)$ პარამეტრების გამოთვლის შესახებ. შევჩერდეთ $c_{1l}(t)$, $l = 0, 1, 2, 3$, პარამეტრების გამოთვლის საკითხზე. მათგან პირველი ორის, $c_{10}(t)$-ისა და $c_{11}(t)$-ის, მისაღებად გამოვიყენებთ (7.11), (7.12) და (7.8), (7.9) ფორმულებს, ხოლო $c_{12}(t)$-ისა და $c_{13}(t)$-ის მისაღებად – (7.19), (7.20) და (7.18), (7.14) ფორმულებს.

გარდა ამისა, $\Phi_n(0)$ და $\|\pi_n f(x,t)\|$-თვის შეგვიძლია გამოვიყენოთ შემდეგი დამოკიდებულებები

$$\Phi_{\mathrm{n}}(0)=\frac{L}{2}\left(\sum_{i=1}^{n}\left(1+h\left(\frac{i\pi}{L}\right)^{2}u_i^{1^2}\right)+\sum_{i=1}^{n}\left(\frac{i\pi}{L}\right)^{4}u_i^{0^2}\right)+\frac{1}{2}\left(\lambda+\frac{L}{2}\sum_{i=1}^{n}\left(\frac{i\pi}{L}\right)^{2}u_i^{0^2}\right)^{2}\le\Phi(0),$$

$$\begin{aligned}\Phi_n(0)\le{}&\frac{L}{2}\sum_{l=0}^{1}\sum_{m=0}^{l}\omega_l h^{l(1-m)}\left(\frac{\pi}{L}\right)^{4-2(l+m)}\left(1+\frac{1}{p_l+2m}\left(1-\frac{1}{n^{p_l+2m}}\right)\right)\\&+\frac{1}{2}\left(\lambda+\frac{L}{2}\left(\frac{\pi}{L}\right)^{2}\omega_0\sum_{l=0}^{1}\left(\frac{1}{p_0+2}\left(1-\frac{1}{n^{p_0+2}}\right)\right)^{l}\right)^{2},\end{aligned}\tag{7.21}$$

$$\|\pi_n f(x,t)\|^2=\frac{L}{2}\sum_{i=1}^{n}f_i^2(t)\le\omega\frac{L}{2}\left(1+\frac{1}{p}\left(1-\frac{1}{n^p}\right)\right).$$

(7.21) ფორმულები არის (7.14), (7.4), (4.1), (2.5), (2.8), (3.2), (7.16), (3.3) გამოსახულებებისა და მწკრივების კრებადობის ინტეგრალური ნიშნის გამოყენების შედეგი.

7.4. რამდენიმე დამხმარე უტოლობა. შემოვიღოთ პარამეტრი

$$\alpha_0=\left(\frac{1}{1+(h\lambda)^{\frac{1}{2}}}\right)^{\frac{1}{2}}.\tag{7.22}$$

ლ ე მ ა 7 . 3 . სრულდება შეფასებები

$$|(\|\pi_n u_x(x,t)\|^2)_t|\le(\alpha_0 c_{11}(t))^2,\tag{7.23}$$

$$|(\|u_{nx}(x,t)\|^2)_t|\le(\alpha_0 c_{13}(t))^2.\tag{7.24}$$

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ ა . თუ გამოვიყენებთ (7.2), (7.4), (7.7), (7.12) და (7.22) გამოსახულებებს, დავასკვნით

$$|(\|\pi_n u_x(x,t)\|^2)_t|=L\left|\sum_{i=1}^{n}\left(\frac{i\pi}{L}\right)^{2}u_i(t)u_i'(t)\right|=\alpha_0^2L\left|\sum_{i=1}^{n}\left(1+(h\lambda)^{\frac{1}{2}}\right)\left(\frac{i\pi}{L}\right)^{2}u_i(t)u_i'(t)\right|$$

$$=\alpha_0^2L\left|\sum_{i=1}^{n}\left(\frac{i\pi}{L}\right)^{2}u_i(t)u_i'(t)+\sum_{i=1}^{n}(h\lambda)^{\frac{1}{2}}\left(\frac{i\pi}{L}\right)^{2}u_i(t)u_i'(t)\right|$$

$$\le\alpha_0^2L\left(\sum_{i=1}^{n}\left(\frac{i\pi}{L}\right)^{2}|u_i(t)||u_i'(t)|+\sum_{i=1}^{n}(h\lambda)^{\frac{1}{2}}\left(\frac{i\pi}{L}\right)^{2}|u_i(t)||u_i'(t)|\right)$$

$$\le\alpha_0^2L\left(\frac{L}{2}\left(\sum_{i=1}^{n}u_i'^2(t)+\sum_{i=1}^{n}\left(\frac{i\pi}{L}\right)^{4}u_i^2(t)\right)\right)+\frac{L}{2}\left(h\sum_{i=1}^{n}\left(\frac{i\pi}{L}\right)^{2}u_i'^2(t)+\lambda\sum_{i=1}^{n}\left(\frac{i\pi}{L}\right)^{2}u_i^2(t)\right)$$

$$\le\alpha_0^2\frac{L}{2}\left(\sum_{i=1}^{\infty}u_i'^2(t)+\sum_{i=1}^{\infty}\left(\frac{i\pi}{L}\right)^{4}u_i^2(t)+h\sum_{i=1}^{\infty}\left(\frac{i\pi}{L}\right)^{2}u_i'^2(t)+\lambda\sum_{i=1}^{\infty}\left(\frac{i\pi}{L}\right)^{2}u_i^2(t)\right)$$

$$=\alpha_0^2(\|u_t(x,t)\|^2+h\|u_{xt}(x,t)\|^2+\|u_{xx}(x,t)\|^2+\lambda\|u_x(x,t)\|^2)\le\alpha_0^2\Phi(t)\le\ \alpha_0^2c_{11}^2(t).$$

აქედან გამომდინარეობს, რომ (7.23) მართებულია. მსგავსად (4.1)-ისა, (7.14)-ის, (7.17)-ისა და (7.20)-ის თანახმად,

$$|(\|u_{nx}(x,t)\|^2)_t| \leq \alpha_0^2 \Phi_n(t) \leq \alpha_0^2 c_{13}^2(t).$$

მაშასადამე, სრულდება (7.24) უტოლობაც.

ლემა დამტკიცებულია.

შევცვალოთ (7.24) შეფასების მარჯვენა მხარე გამოსახულებით, რომელიც არაა დამოკიდებული n-ზე. (7.20), (7.18) და (7.12), (7.8) ფორმულების გამოყენების შედეგად მიიღება უტოლობა

$$|(\|u_{nx}(x,t)\|^2)_t| \leq (\alpha_0 c_{11}(t))^2. \tag{7.25}$$

ლ ე მ ა 7 . 4 . მართებულია შეფასება

$$\left(\sum_{l=1}^{2} \lambda^{2-l} \left(\frac{\pi}{L}\right)^{2l}\right) \|\Delta u_n(x,t)\|^2$$

$$\leq \|\Delta u_{nt}(x,t)\|^2 + h\|\Delta u_{nxt}(x,t)\|^2 + \|\Delta u_{nxx}(x,t)\|^2 + \lambda\|\Delta u_{nx}(x,t)\|^2 \leq$$

$$\leq \sum_{s=1}^{2} \left(\psi_n + \left(\frac{\alpha_2}{\alpha_0\alpha_1}\right)^2 \int_0^T \frac{1}{c_{11}^2(t)} \|\Delta_n f(x,t)\|^2 dt\right)^s r_s(t), \tag{7.26}$$

$$0 < t \leq \mathrm{T},$$

სადაც

$$r_s(t) = \rho_s e^{\theta_s(t)},$$

$$u_i(t_m) = \begin{cases} \dfrac{96}{(i\pi)^5}(1 + 3t_m + t_m^2), & \text{თუ } i \text{ კენტია,} \\ 0, & \text{თუ } i \text{ ლუწია.} \end{cases}$$

ცხრილი 2-ში მოყვანილია ალგორითმის სრული ცდომილების ნორმის მნიშვნელობები.

ცხრილი 2

t_m	0.2	0.3	0.4	0.5	0.6	0.7	0.8	0.9	1.0
$\|\|\Delta z_{nk}^m(x)\|\|$	0.0044	0.0058	0.0061	0.0053	0.0033	0.0007	0.0016	0.0019	0.0004

პროგრამა შედგენილია MATLAB R2010a ენაზე.

დასასრულს, შევნიშნოთ, რომ ალგორითმის სიზუსტის გაუმჯობესებისთვის საჭიროა ერთდროულად მოხდეს გალიორკინის გაშლაში n პარამეტრისა და ნიუტონის პროცესში ჩატარებული იტერაციების k რაოდენობის გაზრდა და, ამავე დროს, სხვაობიანი სქემის τ ბიჯის შემცირება.

საჭირო სიზუსტის მისაღებად ამას შეიძლება მოჰყვეს ჩასატარებელი ოპერაციების რიცხვის მკვეთრი ზრდა. აქედან გამომდინარე, პერსპექტიულად გვეჩვენება პარალელური ალგორითმების გამოყენება. აღნიშნული მიდგომა ერთი კლასის განტოლებებისთვის გამოკვლეულია მელაძისა (Meladze) და დავითაშვილის (Davitashvili) [49] მიერ.

თავი II

რიცხვითი ალგორითმი ტიმოშენკოს ძელის არაწრფივი სისტემისათვის

რეზიუმე. განხილულია საწყის-სასაზღვრო ამოცანა ძელის დინამიკური სისტემისათვის

$$w_{tt} = \left(cd - a + b \int_0^1 w_x^2 \, dx \right) w_{xx} - cd\psi_x ,$$

$$\psi_{tt} = c\psi_{xx} - c^2 d(\psi - w_x).$$

ამოცანის ამოსახსნელად გამოყენებულია ერთი მიახლოებითი ალგორითმი. ამ ალგორითმის შემადგენელი ნაწილებია: სასრულ ელემენტთა მეთოდი და კრანკ-ნიკოლსონის (Crank-Nicolson) ტიპის არაცხადი სიმეტრიული სქემა, რომელთა საშუალებით ხორციელდება დისკრეტიზება სივრცული და დროის ცვლადების მიმართ. ამის შემდეგ მიღებული არაწრფივ განტოლებათა სისტემის ამოსახსნელად გამოიყენება პიკარის (Picard) ტიპის იტერაციული პროცესი. შეფასებულია ალგორითმის სამივე ნაწილის ცდომილება, რის შედეგად მიღებულია მისი სრული ცდომილების შეფასება. ამოხსნილია ტესტური მაგალითები.

ნაწილი I. ამოცანის დასმა

1. განტოლებათა სისტემა და საწყის-სასაზღვრო პირობები. [60], [61] სტატიებში განხილულია ამოცანა ძელის არაწრფივი რხევის შესახებ. შესაბამისად აქ გამოვიყენებთ ტიმოშენკოს (Timoshenko) ცნობილ მოდელს [70]. კირხჰოფ-ლავეს (Kirchhoff-Love) კლასიკურ მოდელისგან განსხვავებით, ტიმოშენკოს მოდელში გათვალისწინებულია განივი ძალა და ბრუნვითი ინერცია, რაც არსებითად მნიშვნელოვანია მრავალი ამოცანის ამოხსნის დროს [25], [26].

განვიხილოთ განტოლებათა სისტემა

$$\begin{gathered} w_{tt} = \left(cd - a + b \int_0^1 w_x^2 \, dx \right) w_{xx} - cd\psi_x , \\ \psi_{tt} = c\psi_{xx} - c^2 d(\psi - w_x), \\ 0 < x < 1, \;\; 0 < t \le T, \end{gathered} \tag{1.1}$$

საწყის-სასაზღვრო პირობებით

$$
\begin{gathered}
w_t(x,0)=w^1(x), \quad w(x,0)=w^2(x)\,, \\
\psi_t(x,0)=\psi^1(x), \quad \psi(x,0)=\psi^2(x), \\
w_t(0,t)=w_t(1,t)=0, \quad \psi_t(0,t)=\psi_t(1,t)=0, \\
0\le x\le 1, \ \ 0\le t\le T.
\end{gathered} \tag{1.2}
$$

საძიებელი $w(x,t)$ და $\psi(x,t)$ ფუნქციები ძელის შუა ხაზის განივი გადახრა და განიკვეთის ბრუნვითი გადაადგილებაა, შესაბამისად. (1.2)-ში w^l , ψ^l მოცემული ფუნქციებია, ამასთან,

$$
w^l(x),\ \psi^l(x)\ \in W_2^{l+1}(0,1), \quad l=1,2. \tag{1.3}
$$

(1.1)-ში

$$
a,b,c,d>0, \quad cd-a>0, \tag{1.4}
$$

სადაც

$$
a=\frac{Al\Delta}{I_1}, \quad b=\frac{Al^2}{2I_1}\,, \quad c=\frac{Al^2}{I_2}\,, \quad d=\frac{GI_2}{EI_1}, \tag{1.5}
$$

E არის იუნგის მოდული, G ძვრის მოდულია, A განივკვეთის ფართობია, $l=1$ ძელის სიგრძეა, I_1 ძელის შუახაზის პერპენდიკულარული ღერძის მიმართ განივკვეთის ინერციის მომენტია, I_2 – განივკვეთის პოლარული მომენტი და Δ – ძელის ბოლოების დამოკლება.

(1.5) საფუძველზე ვასკვნით, რომ (1.4)-ის მეორე პირობა წარმოადგენს ბუნებრივ მოთხოვნას თხელი ზომიერად შეკუმშული ძელისათვის, ვინაიდან ეს გამოსახულება $\Delta<\frac{lG}{E}$ პირობის ეკვივალენტურია.

(1.1) სისტემაში არაწრფივი წევრის უკუგდების შედეგად მიიღება ტიმოშენკოს (Timoshenko) დინამიკური ძელის წრფივი სისტემა [71], რომლისთვის ამონახსნის არსებობა გამოკვლეულია კიმისა (Kim) და რენარდის (Renardy) მიერ [40]. ამ სისტემისთვის და მისი ზოგიერთი განზოგადებისთვის გამოკვლეულია რიცხვითი მეთოდების თვისებები.

2. სისტემის დაყვანა პირველი რიგის განტოლებათა სისტემაზე. განვიხილოთ ფუნქციები

$$
u(x,t),\ v(x,t),\ \ f(x,t),\ \ \varphi(x,t),\ \ \psi(x,t)\,, \tag{2.1}
$$

რომელთა შორის პირველი ოთხი ახალი ფუნქციაა. მათ აქვს შემდეგი სახე

$$
u=w_t, \quad v=w_x, \quad f=\ \psi_t, \qquad \varphi=\psi_x. \tag{2.2}
$$

(1.1)-ისა და (2.2)-ის გამოყენების შედეგად მიიღება განტოლებათა სისტემა (2.1) ფუნქციების მიმართ

$$
\begin{gathered}
u_t = \left(cd - a + b \int_0^1 v^2\, dx \right) v_x - cd\varphi, \\
v_t = u_x, \quad f_t = c\varphi_x - c^2 d(\psi - v), \\
\varphi_t = f_x, \quad \psi_t = f, \\
0 < x < 1, \;\; 0 < t \le T.
\end{gathered}
\tag{2.3}
$$

შევავსოთ ეს სისტემა საწყისი და სასაზღვრო პირობებით

$$
\begin{gathered}
u(x,0) = w^1(x), \quad v(x,0) = w_x^2(x), \quad f(x,0) = \psi^1(x), \\
\varphi(x,0) = \psi_x^2(x), \;\; \psi(x,0) = \psi^2(x), \\
u(0,t) = u(1,t) = 0, \;\; f(0,t) = f(1,t) = 0, \\
0 \le x \le 1, \;\; 0 \le t \le T.
\end{gathered}
\tag{2.4}
$$

ამრიგად, (1.1), (1.2) ამოცანის ნაცვლად მიღებულია საწყის-სასაზღვრო (2.3), (2.4) ამოცანა. ქვემოთ განვიხილავთ ამ ამოცანის ამოხსნის საკითხს.

ნაწილი II. ალგორითმი

3. სასრულ ელემენტთა მეთოდი. მოვახდინოთ (2.3), (2.4) ამოცანის დისკრეტიზება სივრცული ცვლადის მიმართ, რისთვისაც გამოვიყენოთ სასრულ ელემენტთა მეთოდი.

დავუშვათ, $[0,1]$ ინტერვალი დაფარულია ბადით $h = 1/N$ ბიჯით. ყოველ $x_i = ih$, $i = 0, 1, \dots, N$, კვანძს შევუსაბამოთ ბაზისური ფუნქცია

$$
\omega_{hi}(x) = \begin{cases} \dfrac{x - x_{i-1}}{h}, & x \in (x_{i-1},\; x_i), \\ \dfrac{x_{i+1} - x}{h}, & x \in (x_i,\; x_{i+1}), \\ 0, & x \notin (x_{i-1},\; x_{i+1}), \end{cases}
$$

$$
i = 1, 2, \dots, N-1,
$$

$$
\omega_{h0}(x) = \begin{cases} \dfrac{x_1 - x}{h}, & x \in (x_0,\; x_1), \\ 0, & x \notin (x_0,\; x_1), \end{cases} \qquad \omega_{hN}(x) = \begin{cases} \dfrac{x - x_{N-1}}{h}, & x \in (x_{N-1},\; x_N), \\ 0, & x \notin (x_{N-1},\; x_N). \end{cases}
$$

$(\;,\;)$-ით და$\|\cdot\|$-ით აღვნიშნოთ სკალარული ნამრავლი და ნორმა $L^2(0,1)$ სივრცეში, შესაბამისად. (2.3), (2.4) ამოცანის მიახლოებითი ამონახსნი ვეძებოთ შემდეგი სახით

$$u_h(x,t) = \sum_{i=1}^{N-1} u_i(t)\,\omega_{hi}, \quad v_h(x,t) = \sum_{j=1}^{N} v_j(t)\,\omega_{hj},$$
$$f_h(x,t) = \sum_{i=1}^{N-1} f_i(t)\,\omega_{hi}, \quad \varphi_h(x,t) = \sum_{j=0}^{N} \varphi_j(t)\,\omega_{hj}, \quad \psi_h(x,t) = \sum_{j=0}^{N} \psi_j(t)\,\omega_{hj}. \tag{3.1}$$

(3.1)-ში შემავალი ფუნქციები

$$u_i(t), \quad v_j(t), \quad f_i(t), \quad \varphi_j(t), \quad \psi_j(t), \tag{3.2}$$
$$i = 1, 2, \dots, N-1, \quad j = 0, 1, \dots, N,$$

განისაზღვრება ჩვეულებრივ დიფერენციალურ განტოლებათა შემდეგი სისტემით

$$(u_{ht}, \omega_{hi}) = \left(\left(cd - a + b \int_0^1 v_h^2\, dx \right) v_{hx} - cd\varphi_h, \omega_{hi} \right),$$
$$\left(v_{ht}, \omega_{hj}\right) = \left(u_{hx}, \omega_{hj}\right), \quad (f_{ht}, \omega_{hi}) = (c\varphi_{hx} - c^2 d(\psi_h - v_h), \omega_{hi}),$$
$$\left(\varphi_{ht}, \omega_{hj}\right) = \left(f_{hx}, \omega_{hj}\right), \quad \left(\psi_{ht}, \omega_{hj}\right) = \left(f_h, \omega_{hj}\right), \tag{3.3}$$
$$0 < t \le T,$$

და საწყისი პირობებით

$$u_i(0) = w^1(x_i), \quad v_j(0) = w_x^2(x_j), \quad f_i(0) = \psi^1(x_i),$$
$$\varphi_j(0) = \psi_x^2(x_j), \quad \psi_j(0) = \psi^2(x_j). \tag{3.4}$$

(3.3) და (3.4)-ში $i = 1, 2, \dots, N-1, \ j = 0, 1, \dots, N$.

შემოვიღოთ რამდენიმე აღნიშვნა. λ_h და μ_h

$$\lambda_h(x,t) = \sum_{i=1}^{N-1} \lambda_i(t)\omega_{hi}, \quad \mu_h(x,t) = \sum_{j=0}^{N} \mu_j(t)\omega_{hj} \tag{3.5}$$

სახის ფუნქციებს შევუსაბამოთ ვექტორები

$$\boldsymbol{\lambda}_h(t) = \left(\lambda_1(t), \lambda_2(t), \dots, \lambda_{N-1}(t)\right), \quad \boldsymbol{\mu}_h(t) = \left(\mu_0(t), \mu_1(t), \dots, \mu_N(t)\right). \tag{3.6}$$

აქ და ქვემოთ სვეტი-ვექტორი წერია სტრიქონის სახით ტრანსპონირების სიმბოლოს გარეშე. იშვიათ შემთხვევებში ვექტორის ტრანსპონირებას აღვნიშნავთ ´ სიმბოლოთი. იგივე სიმბოლოს გამოვიყენებთ მატრიცის ტრანსპონირების აღნიშვნის მიზნით.

ახლა (3.3), (3.4) სისტემა შეიძლება გადაიწეროს მატრიცული სახით

$$M \frac{d\boldsymbol{u}_h(t)}{dt} = \left(cd - a + bh\boldsymbol{v_h}(t)' K \boldsymbol{v}_h(t)\right) Q \boldsymbol{v}_h(t) - cdL\boldsymbol{\varphi}_h(t), \tag{3.7a}$$

$$K \frac{d\boldsymbol{v}_h(t)}{dt} = -Q' \boldsymbol{u}_h(t), \tag{3.7b}$$

$$M\frac{d\boldsymbol{f}_h(t)}{dt} = cQ\boldsymbol{\varphi}_h(t) - c^2 dL\big(\boldsymbol{\psi}_h(t) - \boldsymbol{v}_h(t)\big), \tag{3.7c}$$

$$K\frac{d\boldsymbol{\varphi}_h(t)}{dt} = -Q'\boldsymbol{f}_h(t), \tag{3.7d}$$

$$K\frac{d\boldsymbol{\psi}_h(t)}{dt} = -L'\boldsymbol{f}_h(t), \tag{3.7e}$$

რომელთათვის $0 < t \le T$, და საწყისი პირობებით

$$\begin{gathered}\boldsymbol{u}_h(0) = \boldsymbol{w}^1, \quad \boldsymbol{v}_h(0) = \boldsymbol{w}_x^2, \quad \boldsymbol{f}_h(0) = \boldsymbol{\psi}^1, \\ \boldsymbol{\varphi}_h(0) = \boldsymbol{\psi}_x^2, \quad \boldsymbol{\psi}_h(0) = \boldsymbol{\psi}^2.\end{gathered} \tag{3.8}$$

(3.7)-ში K, L, M და Q, შესაბამისად, $(N+1)\times(N+1)$, $(N-1)\times(N+1)$, $(N-1)\times(N-1)$ და $(N-1)\times(N+1)$ რიგის შემდეგი სახის მატრიცებია

$$K = \frac{1}{h}\big((\omega_{hi},\omega_{hi})\big)_{0\le i,j\le N} = \frac{1}{6}\begin{pmatrix} 2 & 1 & & & & & \\ 1 & 4 & & & & & 0 \\ & & \cdot & & & & \\ & & & \cdot & & & \\ & & & & \cdot & & \\ 0 & & & & & 4 & 1 \\ & & & & & 1 & 2 \end{pmatrix}, \tag{3.9a}$$

$$L = \frac{1}{h}\Big(\big(\omega_{hi},\omega_{hj}\big)\Big)_{0\le i\le N-1,\ 0\le j\le N} = \frac{1}{6}\begin{pmatrix} 1 & 4 & 1 & & & & 0 \\ & & \cdot & & & & \\ & & & \cdot & & & \\ 0 & & & & \cdot & & \\ & & & & 1 & 4 & 1 \end{pmatrix}, \tag{3.9b}$$

$$M = \frac{1}{h}\Big(\big(\omega_{hi},\omega_{hj}\big)\Big)_{1\le i,j\le N-1} = \frac{1}{6}\begin{pmatrix} 4 & 1 & & & 0 \\ 1 & \cdot & & & \\ & & \cdot & & \\ & 0 & & \cdot & 1 \\ & & & 1 & 4 \end{pmatrix}, \tag{3.9c}$$

$$Q = -\frac{1}{h}\Big(\big(\omega_{hix},\omega_{hj}\big)\Big)_{1\le i\le N-1, 0\le j\le N} = \frac{1}{2h}\begin{pmatrix} -1 & 0 & 1 & & & & 0 \\ & & \cdot & & & & \\ & & & \cdot & & & \\ 0 & & & & \cdot & & \\ & & & & -1 & 0 & 1 \end{pmatrix}. \tag{3.9d}$$

(3.8)-ში

$$\begin{gathered}\boldsymbol{w}^1 = \big(w^1(x_1), w^1(x_2), \dots, w^1(x_{N-1})\big), \ \boldsymbol{w}_x^2 = \big(w_x^2(x_0), w_x^2(x_1), \dots, w_x^2(x_N)\big), \\ \boldsymbol{\psi}^l = \Big(\psi^l(x_{2-l}), \psi^l(x_{3-l}), \dots, \psi^l(x_{l+N-2})\Big), \qquad l = 1, 2, \\ \boldsymbol{\psi}_x^2 = \big(\psi_x^2(x_0), \psi_x^2(x_1), \dots, \psi_x^2(x_N)\big).\end{gathered} \tag{3.10}$$

(3.7)-ისა და (3.8)-ის გარდა დაგვჭირდება სისტემის უფრო მოკლე ჩანაწერი. მხედველობაში გვაქვს შემდეგი განტოლება

$$A\frac{d\boldsymbol{y}_h(t)}{dt} = \Big(B + C\big(\boldsymbol{v}_h(t)\big)\Big)\boldsymbol{y}_h(t), \tag{3.11}$$

$$0 < t \le T,$$

და საწყისი პირობა

$$\boldsymbol{y}_h(0) = \boldsymbol{g}_h. \tag{3.12}$$

აქ გამოყენებულია ვექტორები

$$\boldsymbol{y}_h(t) = \big(\boldsymbol{u}_h(t), \boldsymbol{v}_h(t), \boldsymbol{f}_h(t), \boldsymbol{\varphi}_h(t), \boldsymbol{\psi}_h(t)\big), \tag{3.13a}$$

$$\boldsymbol{g}_h = (\boldsymbol{w}^1, \boldsymbol{w}_x^2, \boldsymbol{\psi}^1, \boldsymbol{\psi}_x^2, \boldsymbol{\psi}^2), \tag{3.13b}$$

და მეხუთე რიგის ბლოკური მატრიცები

$$A = \begin{pmatrix} M & & & & \\ & 2K & & 0 & \\ & & M & & \\ & 0 & & 2K & \\ & & & & 2K \end{pmatrix}, \tag{3.14a}$$

$$B = \begin{pmatrix} 0 & (cd-a)Q & 0 & -cdL & 0 \\ -2Q' & 0 & 0 & 0 & 0 \\ 0 & c^2dL & 0 & cQ & -c^2dL \\ 0 & 0 & -2Q' & 0 & 0 \\ 0 & 0 & 2L' & 0 & 0 \end{pmatrix}, \tag{3.14b}$$

$$C(v) = bhv'Kv \begin{pmatrix} 0 & Q & . & . & . & 0 \\ 0 & 0 & . & . & . & 0 \\ . & . & . & . & . & . \\ 0 & 0 & . & . & . & 0 \end{pmatrix}, \quad v \in R^{N+1}. \tag{3.14c}$$

(3.13)-ში $\boldsymbol{y}_h(t)$ და $\boldsymbol{g}_h$ ვექტორები შეიცავს სასრულ ელემენტიანი (3.11), (3.12) სისტემის ამონახსნებს $0 < t \le T$ და $t = 0$-ში, შესაბამისად. (3.14)-ში 0-ები წარმოადგენს მართკუთხა ნულოვან მატრიცებს, რომელთა რიგები განისაზღვრება შემდეგი წესით: მატრიცის სტრიქონების (სვეტების) რაოდენობა $N-1$-ია, თუ მატრიცი მდებარეობს შესაბამისი ბლოკური მატრიცის პირველ ან მესამე სტრიქონში (სვეტში), და $N+1$-ის წინააღმდეგ შემთხვევაში.

4. სხვაობიანი სქემა. ავაგოთ (3.7), (3.8) ამოცანის მიახლოებითი ამონახსნი. $[0, T]$ ინტერვალზე შემოვიღოთ ბადე $\tau = \frac{T}{P}$ ბიჯით, $0 < \tau < 1$, და $t_n = n\tau$ კვანძებით. n-ურ შრეზე, ე. ი. $t = t_n$-თვის, (3.6) ვექტორების მიახლოებითი მნიშვნელობები აღვნიშნოთ $\boldsymbol{\lambda}_h^n$-ით და $\boldsymbol{\mu}_h^n$-ით, $n = 0,1,\dots,P$. გამოვიყენოთ კრანკ-ნიკოლსონის (Crank-Nicolson) ტიპის სიმეტრიული სქემა

$$M(\boldsymbol{u}_h^n - \boldsymbol{u}_h^{n-1}) = \frac{\tau}{4}\Big(2(cd-a) + bh((\boldsymbol{v}_h^n)' K \boldsymbol{v}_h^n + (\boldsymbol{v}_h^{n-1})' K \boldsymbol{v}_h^{n-1})\Big) Q(\boldsymbol{v}_h^n + \boldsymbol{v}_h^{n-1})$$

$$-\frac{\tau cd}{2} L(\boldsymbol{\varphi}_h^n + \boldsymbol{\varphi}_h^{n-1}), \tag{4.1a}$$

$$2K(\boldsymbol{v}_h^n - \boldsymbol{v}_h^{n-1}) = -\tau Q'(\boldsymbol{u}_h^n + \boldsymbol{u}_h^{n-1}), \tag{4.1b}$$

$$M(\boldsymbol{f}_h^n - \boldsymbol{f}_h^{n-1}) = \frac{\tau c}{2} Q(\boldsymbol{\varphi}_h^n + \boldsymbol{\varphi}_h^{n-1}) - \frac{\tau c^2 d}{2} L(\boldsymbol{\psi}_h^n + \boldsymbol{\psi}_h^{n-1} - \boldsymbol{v}_h^n - \boldsymbol{v}_h^{n-1}), \tag{4.1c}$$

$$2K(\boldsymbol{\varphi}_h^n - \boldsymbol{\varphi}_h^{n-1}) = -\tau Q'(\boldsymbol{f}_h^n + \boldsymbol{f}_h^{n-1}), \tag{4.1d}$$

$$2K(\boldsymbol{\psi}_h^n - \boldsymbol{\psi}_h^{n-1}) = -\tau L'(\boldsymbol{f}_h^n + \boldsymbol{f}_h^{n-1}), \tag{4.1e}$$

$n = 1, 2, \dots, P$, საწყისი პირობებით

$$\boldsymbol{u}_h^0 = \boldsymbol{w}^1, \quad \boldsymbol{v}_h^0 = \boldsymbol{w}_x^2, \quad \boldsymbol{f}_h^0 = \boldsymbol{\psi}^1, \quad \boldsymbol{\varphi}_h^0 = \boldsymbol{\psi}_x^2, \quad \boldsymbol{\psi}_h^0 = \boldsymbol{\psi}^2. \tag{4.2}$$

შემოვიღოთ ვექტორი

$$\boldsymbol{y}_h^n = (\boldsymbol{u}_h^n, \boldsymbol{v}_h^n, \boldsymbol{f}_h^n, \boldsymbol{\varphi}_h^n, \boldsymbol{\psi}_h^n). \tag{4.3}$$

(4.3), (3.14) და (3.13b) ფორმულების გამოყენების შედეგად (4.1) სისტემა გადაიწერება შემდეგი სახით

$$A\frac{\boldsymbol{y}_h^n - \boldsymbol{y}_h^{n-1}}{\tau} = \frac{1}{2}\left(B + \frac{1}{2}\Big(C(\boldsymbol{v}_h^n) + C(\boldsymbol{v}_h^{n-1})\Big)\right)(\boldsymbol{y}_h^n + \boldsymbol{y}_h^{n-1}), \tag{4.4}$$

ხოლო (4.2) შემდეგნაირად

$$\boldsymbol{y}_h^0 = \boldsymbol{g}_h. \tag{4.5}$$

5. იტერაციული პროცესი. განვიხილოთ (4.4), (4.5) ამოცანის ამოხსნის საკითხი. ვთქვათ, გამოთვლას ვაწარმოებთ შრიდან შრეზე გადასვლისას. თუ $\boldsymbol{y}_h^{n-1}$ უკვე ცნობილია, მაშინ ამოცანა დაიყვანება (4.4)-დან $\boldsymbol{y}_h^n$-ის მოძებნაზე. ამისათვის გამოვიყენოთ პიკარის (Picard) ტიპის იტერაციული პროცესი

$$A\boldsymbol{y}_h^{n,m} = A\boldsymbol{y}_h^{n-1} + \frac{\tau}{2}\left(B + \frac{1}{2}\Big(C\big(\boldsymbol{v}_h^{n,m-1}\big) + C(\boldsymbol{v}_h^{n-1})\Big)\right)\big(\boldsymbol{y}_h^{n,m-1} + \boldsymbol{y}_h^{n-1}\big), \tag{5.1}$$

$m = 1, 2, \dots$. აქ

$$\boldsymbol{y}_h^{n,m} = \big(\boldsymbol{u}_h^{n,m}, \boldsymbol{v}_h^{n,m}, \boldsymbol{f}_h^{n,m}, \boldsymbol{\varphi}_h^{n,m}, \boldsymbol{\psi}_h^{n,m}\big) \tag{5.2}$$

არის $\boldsymbol{y}_h^n$, $m = 0, 1, \dots,$ ვექტორის m-ური იტერაციული მიახლოება, ამასთან, $\boldsymbol{u}_h^{n,m}$, $\boldsymbol{f}_h^{n,m} \in R^{N-1}$, $\boldsymbol{\varphi}_h^{n,m}, \boldsymbol{\psi}_h^{n,m} \in R^{N+1}$. იმისათვის, რომ თავი ავარიდოთ უმნიშვნელო ხასიათის დეტალებით გამოწვეულ სიძნელეებს, დაუშვათ, რომ $\boldsymbol{y}_h^{n-1}$ მიღებულია ისეთი სიზუსტით, რომ შესაძლებელია შესაბამისი ცდომილების უგულებელყოფა. დავუშ-

ვათ ასევე, რომ $\boldsymbol{y}_h^{n-1}$ გამოიყენება იტერაციის საწყის მიახლოებად მეზობელ n-ურ შრეზე. ამრიგად, ვიგულისხმოთ, რომ

$$\boldsymbol{y}_h^{n,0} = \boldsymbol{y}_h^{n-1}. \tag{5.3}$$

ნაწილი III. ალგორითმის ცდომილება

6. დამხმარე დებულებები

6.1. უტოლობები K, M და Q მატრიცებისთვის. შემოვიღოთ ვექტორებისთვის სკალარული ნამრავლი და ნორმა. ვთქვათ, λ და μ ერთნაირი განზომილების ვექტორებია, რომელთა l-ური კომპონენტებია λ_l და μ_l. მაშინ სკალარული ნამრავლია

$$(\lambda,\mu)_h = h\sum_l \lambda_l\mu_l\,,$$

ხოლო ნორმა განისაზღვრება ფორმულით

$$\|\lambda\|_h = (\lambda,\lambda)_h^{\frac{1}{2}}.$$

თუ W სიმეტრიული დადებითად განსაზღვრული მატრიცაა, რომლის რიგი შეესაბამება λ ვექტორის განზომილებას, მაშინ ენერგეტიკული ნორმა ტოლია

$$\|\lambda\|_{W,h} = (W\lambda,\lambda)_h^{\frac{1}{2}}\,.$$

შევნიშნოთ, რომ ვექტორის განზომილება არ აისახება სკალარული ნამრავლის და ნორმის აღნიშვნებზე.

გამოვიყენოთ K, M და Q მატრიცების (3.9a), (3.9c) და (3.9d) აღნიშვნები და გერშგორინის (Gershgorin)-ის თეორემა [31]. შედეგად ჯერ მივიღებთ

$$6^{-\frac{1}{2}}\|\lambda\|_h \le \|\lambda\|_{K,h} \le \|\lambda\|_h\,, \qquad \lambda\in R^{N+1}, \tag{6.1a}$$

$$3^{-\frac{1}{2}}\|\lambda\|_h \le \|\lambda\|_{M,h} \le \|\lambda\|_h\,, \qquad \lambda\in R^{N-1}. \tag{6.1b}$$

იგივე მიდგომით, QQ' მატრიცის გამოყენების შედეგად, ვაფასებთ

$$\|Q\|_h \le \frac{1}{h}. \tag{6.1c}$$

6.2. უტოლობები A, B და C ბლოკური მატრიცებისთვის. ჯერ დავამტკიცოთ A და B მატრიცებთან დაკავშირებული უტოლობები.

ლ ე მ ა 6 . 1 . მართებულია თანაფარდობები

$$\|A\|_h \le 2,\ \ \|A^{-1}\|_h \le 3, \tag{6.2a}$$

$$\|B\|_h \le \gamma, \tag{6.2b}$$

სადაც

$$\gamma = \max^{\frac{1}{2}}(\gamma_1, \gamma_2, \gamma_3) \tag{6.3}$$

და

$$\gamma_1 = 2c^4d^2 + \frac{(cd-a)^2}{h^2} + \frac{5cd}{6h}(c^2+cd-a), \quad \gamma_2 = 4\left(1+\frac{1}{h^2}\right),$$
$$\gamma_3 = c^2d^2 + \frac{c^2}{h^2} + \frac{5cd}{6h}(2c^2+cd-a).$$

დამტკიცება. გამოვიყენოთ (6.1a), (6.1b) უტოლობები და გერშგორინის (Gershgorin) თეორემა, გავიხსენოთ ასევე კავშირი მატრიცისა და მისი შებრუნებული მატრიცის საკუთრივ რიცხვებს შორის. შედეგად მივიღებთ

$$\|K\|_h \le 1, \quad \|M\|_h \le 1, \quad \|K^{-1}\|_h \le 6, \quad \|M^{-1}\|_h \le 3\,.$$

თუ გამოვიყენებთ ამ უტოლობებს (3.14a)-ში, მივიღებთ (6.2a)-ს. (6.2b)-ს მისაღებად დაგვჭირდება ბლოკური $B'B = \left(B_{ij}\right)_{1\le i\,,j\le 5}$მატრიცი. თუ გამოვიყენებთ (3.14b)-ს, მი-ვიღებთ შემდეგ არანულოვან ბლოკებს

$$\begin{gathered} B_{11} = 4QQ', \qquad B_{22} = (cd-a)^2Q'Q + c^4d^2L'L\,, \quad B_{33} = 4(QQ' + LL')\,, \\ B_{44} = c^2d^2L'L + c^2Q'Q\,, \quad B_{55} = \ c^2d^2L'L\,, \\ B_{24} = B'_{42} = c^3dL'Q - cd(cd-a)Q'L\,, \ \ B_{25} = B'_{52} = -c^4d^2L'L\,, \\ B_{45} = B'_{54} = -c^3dQ'L. \end{gathered} \tag{6.4}$$

ცხრილი 1

მატრიცები	რიგი	დიაგონალი		
		მთავარი	პირველი	მეორე
$36LL'$	$N-1$	18, 18, … , 18	8, 8, … , 8	1, 1, … ,1
$36L'L$	$N+1$	1, 17, 18, 18, … , 18, 17, 1	4, 8, 8, … , 8, 4	1, 1, … ,1
$4h^2QQ'$	$N-1$	2, 2, … , 2		-1, -1, … , -1
$4h^2Q'Q$	$N+1$	1, 1, 2, 2, … , 2, 1, 1		-1, -1, … , -1
$12hL'Q = 12h(Q'L)'$	$N+1$	-1, -1, 0, 0, … , 0, 1, 1	ზედა 0, 4, 4, … , 4 ქვედა	ზედა 1, 1, … , 1 ქვედა

			-4, -4, … , -4, 0	-1, -1, … , -1

შევნიშნოთ, რომ (6.4)-ის ტოლობების მარჯვენა მხარეში გამრავლების შედეგად მიღებული ყველა მატრიცი კვადრატულია. შემდეგ, დაგვჭირდება რამდენიმე განსაზღვრება. ვთქვათ, მოცემულია კვადრატურული მატრიცი. მის ყოველ ელემენტს შევუსაბამოთ სტრიქონის ნომერი i და სვეტის ნომერი j. ელემენტების ერთობლიობას, რომელთათვისაც $|i-j|=k,\ k>0$, ვუწოდოთ k-ური დიაგონალი. დიაგონალს ეწოდება ქვედა, თუ $i>j$ და ზედა, თუ $i<j$. მთავარი დიაგონალის ქვეშ გვესმის ელემენტების ერთობლიობა, რომელთათვისაც $i=j$. ვიგულისხმოთ, რომ დიაგონალზე ელემენტები განთავსებულია i და j ინდექსების ზრდადობის მიხედვით. დიაგონალს დავარქვათ ნულოვანი დიაგონალი, თუ ის შეიცავს მხოლოდ ნულებს და არანულოვანი – წინააღმდეგ შემთხვევაში.

თუ ცხრილი 1-ში გამოვიყენებთ (3.9b)-სა და (3.9d)-ს, მივიღებთ დამტკიცებისთვის საჭირო მატრიცების შესაბამის რიგს და არანულოვან დიაგონალებს. მატრიცები წარმოდგენილია მამრავლებთან ერთად.

ვინაიდან

$$\|B\|_h = \gamma_*, \qquad (6.5)$$

სადაც γ_* არის B მატრიცის მაქსიმალური სინგულარული რიცხვი, პრობლემა დაიყვანება γ_*-ის შეფასებაზე. (6.4) ტოლობების, ცხრილი 1-ისა და გერშგორინის (Gershgorin) თეორემის გამოყენების შედეგად ვრწმუნდებით, რომ BB' მატრიცის თითოეულ სტრიქონს მივყავართ უტოლობამდე γ_*-თვის (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2-ისა და (6.5), (6.3) ტოლობების გამოყენებით ვღებულობთ (6.2b).

ლემა დამტკიცებულია.

ცხრილი 2

ბლოკური სტრიქონის ნომერი	**უტოლობები**
1	$\left\|\gamma_*^2-\frac{2}{h^2}\right\| \le \frac{2}{h^2}$
2	$\left\|\gamma_*^2-\frac{(cd-a)^2}{2h^2}-\frac{c^4d^2}{2}\right\| \le \frac{(cd-a)^2}{2h^2}+\frac{3c^4d^2}{2}+\frac{5cd(cd-a)}{6h}+\frac{5c^3d}{6h}$

3	$\left\|\gamma_*^2 - \frac{2}{h^2} - 2\right\| \le \frac{2}{h^2} + 2$
4	$\left\|\gamma_*^2 - \frac{c^2 d^2}{2} - \frac{c^2}{2h^2}\right\| \le \frac{5c^3 d}{3h} + \frac{5cd(cd-a)}{6h} + \frac{c^2 d^2}{2} + \frac{c^2}{2h^2}$
5	$\left\|\gamma_*^2 - \frac{c^4 d^2}{2}\right\| \le \frac{3c^4 d^2}{2} + \frac{5c^3 d}{6h}$

ჩვენ დაგვჭირდება C მატრიცის შემდეგი თვისება.

ლ ე მ ა 6 . 2 . მართებულია უტოლობა

$$\|C(v_1)Y_1 - C(v_2)Y_2\|_h \le \frac{b}{2h}\Big(\big(\|v_1\|_{K,h}^2 + \|v_2\|_{K,h}^2\big)\|Y_1 - Y_2\|_h$$

$$+ \big(\|v_1\|_{K,h} + \|v_2\|_{K,h}\big)(\|V_1\|_h + \|V_2\|_h)\|y_1 - y_2\|_h\Big), \qquad (6.6)$$

სადაც

$$y_l = (u_l, v_l, f_l, \varphi_l, \psi_l), \quad Y_l = (U_l, V_l, F_l, \Phi_l, \Psi_l), \quad u_l, U_l, f_l, F_l \in R^{N-1},$$

$$v_l, V_l, \varphi_l, \Phi_l, \psi_l, \Psi_l \in R^{N+1}, \quad l = 1, 2.$$

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ ა . (3.14c), (6.1c) და (6.1a)-ის თანახმად,

$$\|C(v_1)Y_1 - C(v_2)Y_2\|_h = b\left\|\|v_1\|_{K,h}^2 QV_1 - \|v_2\|_{K,h}^2 QV_2\right\|_h$$

$$= \frac{b}{2}\left\|\sum_{i=0}^{1}\Big(\|v_{i+1}\|_{K,h}^2 (V_1 - V_2) + \big(\|v_1\|_{K,h}^2 - \|v_2\|_{K,h}^2\big)QV_{i+1}\Big)\right\|_h$$

$$\le \frac{b}{2h}\sum_{i=0}^{1}\Big(\|v_{i+1}\|_{K,h}^2\|V_1 - V_2\|_h + \big(\|v_1\|_{K,h} + \|v_2\|_{K,h}\big)\|v_1 - v_2\|_h\|V_{i+1}\|_h\Big). \quad (6.7)$$

თუ (6.7)-ში გამოვიყენებთ უტოლობებს

$$\|V_1 - V_2\|_h \le \|Y_1 - Y_2\|_h, \qquad \|v_1 - v_2\|_h \le \|y_1 - y_2\|_h,$$

მივიღებთ (6.6)-ს.

ლემა დამტკიცებულია.

7. სასრულ ელემენტთა მეთოდის სიზუსტე

7.1. ცდომილების განსაზღვრება და განტოლება ცდომილებისთვის. ვთქვათ, $\lambda(x,t)$ და $\mu(x,t)$ არის $[0,1] \times [0,\mathrm{T}]$-ზე განსაზღვრული ფუნქციები და პირველი ამ ფუნქციებიდან აკმაყოფილებს სასაზღვრო პირობებს

$$\lambda(0,t) = \lambda(1,t) = 0.$$

განვიხილოთ ვექტორები

$$\boldsymbol{\lambda}(t) = \big(\lambda(x_1,t), \lambda(x_2,t), \dots, \lambda(x_{N-1},t)\big),$$
$$\boldsymbol{\mu}(t) = \big(\mu(x_0,t), \mu(x_1,t), \dots, \mu(x_N,t)\big). \tag{7.1}$$

(2.1) ფუნქციებისა და (7.1) განსაზღვრებების საშუალებით შემოვიღოთ ვექტორი

$$\boldsymbol{y}(t) = \big(\boldsymbol{u}(t), \boldsymbol{v}(t), \boldsymbol{f}(t), \boldsymbol{\varphi}(t), \boldsymbol{\psi}(t)\big). \tag{7.2}$$

ამ განსაზღვრებიდან გამომდინარეობს, რომ $\boldsymbol{y}(t)$ ვექტორი შეიცავს (2.3), (2.4) ამოცანის ზუსტი ამონახსნის მნიშვნელობებს $[0,1]$ ინტერვალის x_i კვანძებში.

სასრულ ელემენტთა მეთოდის ცდომილებას განვსაზღვრავთ როგორც (7.2) და (3.13a) ვექტორების სხვაობას

$$\boldsymbol{z}_h(t) = \boldsymbol{y}(t) - \boldsymbol{y}_h(t). \tag{7.3}$$

$\boldsymbol{z}_h$-თვის განტოლებისა და საწყისი მნიშვნელობის მისაღებად, (3.11) განტოლებასა და (3.12) პირობაში ჩავსვათ $\boldsymbol{y}_h(t) = \boldsymbol{y}(t) - \boldsymbol{z}_h(t)$ ტოლობა და მხედველობაში მივიღოთ (2.4), (3.13b) და (3.10). შედეგად მიიღება განტოლება

$$A\frac{d\boldsymbol{z}_h(t)}{dt} = B\boldsymbol{z}_h(t) + \Big(C\big(\boldsymbol{v}(t)\big)\boldsymbol{y}(t) - C\big(\boldsymbol{v}_h(t)\big)\boldsymbol{y}_h(t)\Big) + \boldsymbol{\theta}_h(t), \tag{7.4}$$
$$0 < t \le T,$$

საწყისი პირობით

$$\boldsymbol{z}_h(0) = \boldsymbol{0}, \tag{7.5}$$

სადაც $\boldsymbol{\theta}_h(t)$ სასრულ ელემენტთა (3.11) სისტემის აპროქსიმაციის ცდომილებაა, ხოლო $\boldsymbol{0}$ – აქ და ქვემოთ შესაბამისი განზომილების ნული-ვექტორია. აპროქსიმაციის ცდომილებისთვის გვაქვს

$$\boldsymbol{\theta}_h(t) = A\frac{d\boldsymbol{y}(t)}{dt} - \Big(B + C\big(\boldsymbol{v}(t)\big)\Big)\boldsymbol{y}(t), \tag{7.6}$$
$$0 < t \le T,$$

და

$$\boldsymbol{\theta}_h(0) = \boldsymbol{0}. \tag{7.7}$$

ჩვენს მიზანს წარმოადგენს $\boldsymbol{z}_h(t)$-ის შეფასება. ამისთვის უნდა გამოვიყვანოთ რამდენიმე უტოლობა.

7.2. აპრიორული შეფასებები. შესაფასებელია (7.2)-ში შემავალი $\boldsymbol{v}(t)$ ვექტორის ნორმა. ამისთვის შემოვიღოთ s_0 სიდიდე, რომელიც დამოკიდებულია საწყის ფუნქციებზე (2.4) პირობიდან და $v(x,t)$ ფუნქციაზე (2.1)-დან. დავუშვათ,

$$v(x,t) \in C^{p,0}([0,1]\times[0,T]), \tag{7.8}$$

სადაც $p=1$ ან $p=2$. ვთქვათ,

$$s_0=\frac{a}{b}+\left(\frac{2}{b}\left(\|w^1(x)\|^2+cd\|w_x^2(x)-\psi^2(x)\|^2\right.\right.$$

$$\left.\left.+\frac{1}{2b}(a-b\|w_x^2(x)\|^2)^2+\frac{1}{c}\|\psi^1(x)\|^2+\|\psi_x^2(x)\|^2\right)\right)^{\frac{1}{2}}+h^p\omega_p, \quad (7.9)$$

სადაც

$$\omega_p=\begin{cases}\frac{5}{6}m_0m_1, & p=1,\\ \frac{1}{3}\left(m_0(m_1+m_2)+\frac{1}{2}m_1^2\right), & p=2,\end{cases} \quad (7.10)$$

და

$$m_l=\max_{0\le x\le 1}\max_{0\le t\le T}\left|\frac{\partial^l v(x,t)}{\partial x^l}\right|, \ \ l=0,1,2.$$

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1 . (7.9)-ს მარჯვენა მხარის ბოლო წევრი რაგინდ მცირეა, როცა $h\to 0$ და, მაშასადამე,

$$s_0\to\frac{a}{b}+\left(\frac{2}{b}\left(\|w^1(x)\|^2+cd\|w_x^2(x)-\psi^2(x)\|^2\right.\right.$$

$$\left.\left.+\frac{1}{2b}(a-b\|w_x^2(x)\|^2)^2+\frac{1}{c}\|\psi^1(x)\|^2+\|\psi_x^2(x)\|^2\right)\right)^{\frac{1}{2}}.$$

შევაფასოთ $\boldsymbol{v}(t)$ ვექტორის ნორმა.

ლ ე მ ა 7 . 1 . მართებულია უტოლობა

$$\|\boldsymbol{v}(t)\|_{K,h}^2\le s_0, \quad (7.11)$$
$$0\le t\le T.$$

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ ა . (2.3)-ის განტოლებები სკალარულად გავამრავლოთ

$$u(x,t), \quad cdv(x,t), \quad \frac{1}{c}f(x,t), \quad \varphi(x,t), \quad cd\psi(x,t),$$

ფუნქციებზე შესაბამისად და შევკრიბოთ მიღებული გამოსახულებები. (2.2)-(2.4)-დან ზოგიერთი ტოლობის გამოყენებით ვპოულობთ

$$\begin{gathered}(v_x,u)=-(v,u_x), \quad (v_x,u)=-(v,u_x)=-(v,v_t),\\ (\varphi,u)=(\psi_x,u)=-(\psi,u_x)=-(\psi,v_t),\\ (\varphi_x,f)=-(\psi,f_x), \quad (v,f)=(v,\psi_t).\end{gathered} \quad (7.12)$$

(7.12)-ის გამო გვექნება

$$\frac{de(t)}{dt} = 0,$$

სადაც

$$e(t) = \frac{a}{b} + \Bigg(\Big(\|u(x,t)\|^2 + cd\|v(x,t) - \psi(x,t)\|^2 + \frac{1}{2b}(a - b\|v(x,t)\|^2)^2 + \frac{1}{c}\|f(x,t)\|^2 + \|\varphi(x,t)\|^2\Big)\Bigg)^{\frac{1}{2}}. \qquad (7.13)$$

მაშასადამე,

$$e(t) = e(0). \qquad (7.14)$$

(7.13)-დან, (7.14)-დან და (2.4)-ში საწყისი პირობების მხედველობაში მიღების შედეგად, ვპოულობთ

$$\int_0^1 v^2(x,t)dx \leq \frac{a}{b} + \Bigg(\frac{2}{b}\Big(\|w^1(x)\|^2 + cd\|w_x^2(x) - \psi^2(x)\|^2 + \frac{1}{2b}(a - b\|w_x^2(x)\|^2)^2 + \frac{1}{c}\|\psi^1(x)\|^2 + \|\psi_x^2(x)\|^2\Big)\Bigg)^{\frac{1}{2}}. \qquad (7.15)$$

(7.1)-ისა და (3.9a)-ის თანახმად,

$$\|v(t)\|_{K,h}^2 = \frac{1}{6}h\Bigg(\big(2v(x_0,t) + v(x_1,t)\big)v(x_0,t) + \sum_{i=1}^{N-1}(v(x_{i-1},t) + 4v(x_i,t) + v(x_{i+1},t))v(x_i,t) + \big(v(x_{N-1},t) + 2v(x_N,t)\big)v(x_N,t)\Bigg). \qquad (7.16)$$

(7.16)-დან გამომდინარეობს

$$\|v(t)\|_{K,h}^2 = h\left(\frac{1}{2}v^2(x_0,t) + \sum_{i=1}^{N-1} v^2(x_i,t) + \frac{1}{2}v^2(x_N,t)\right) + \frac{1}{6}h\Bigg(hv_x(\xi_0,t)v(x_0,t) + \frac{1}{p}h^p\sum_{i=1}^{N-1}\left(\frac{\partial^p v(\xi_i,t)}{\partial x^p} + \frac{\partial^p v(\eta_i,t)}{\partial x^p}\right)v(x_i,t) + hv_x(\eta_N,t)v(x_N,t)\Bigg), \qquad (7.17)$$

სადაც $\xi_i \in [x_i, x_{i+1}]$, $i = 0,1,\dots,N-1$, $\eta_i \in [x_{i-1}, x_i]$, $i = 1,2,\dots,N.$ რიცხვითი ინტეგრების ტრაპეციების ფორმულის [14] საფუძველზე გვაქვს

$$\int_0^1 v^2(x,t)dx = h\left(\frac{1}{2}v^2(x_0,t) + \sum_{i=1}^{N-1} v^2(x_i,t) + \frac{1}{2}v^2(x_N,t)\right) + r_p, \tag{7.18}$$

სადაც r_p ნაშთითი წევრია. $p = 1$ და $p = 2$ სრულდება უტოლობები

$$|r_1| \le \frac{1}{4}h \max_{0\le x\le 1}\left|\left(v^2(x,t)\right)_x\right| \quad \text{და} \quad |r_2| \le \frac{1}{12}h^2 \max_{0\le x\le 1}\left|\left(v^2(x,t)\right)_{xx}\right| [21].$$

თუ გამოვიყენებთ (7.18) ტოლობას, (7.15) და (7.17) გამოსახულებებთან ერთად, და შევასრულებთ გარკვეულ გამოთვლებს, მივიღებთ (7.11) შეფასებას.

ლემა დამტკიცებულია.

შემდეგ, ჩვენ გვჭირდება სასრულ ელემენტთა (3.7) სისტემაში შემავალი $\boldsymbol{v}_h(t)$ ვექტორის ნორმის შეფასება. ამისათვის შემოვიღოთ s_1 სიდიდე, რომელიც განისაზღვრება (3.8) საწყის პირობებში მონაწილე ვექტორების საშუალებით

$$s_1 = \frac{a}{b} + \left(\left(\frac{2}{b}\|\boldsymbol{w}^1\|_{M,h}^2 + cd\|\boldsymbol{w}_x^2 - \boldsymbol{\psi}^2\|_{K,h}^2 + \frac{1}{2b}\left(a - b\|\boldsymbol{w}_x^2\|_{K,h}^2\right)^2 + \frac{1}{c}\|\boldsymbol{\psi}^1\|_{M,h}^2 + \|\boldsymbol{\psi}_x^2\|_{K,h}^2\right)\right)^{\frac{1}{2}}$$

$$+ \left(\frac{6}{b}\right)^{\frac{1}{2}} cdT\|L\boldsymbol{\psi}_x^2 - Q\boldsymbol{\psi}^2\|_h. \tag{7.19}$$

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2 . (3.5) და (3.6) სახის ფუნქციებისა და ვექტორებისთვის ადგილი აქვს ტოლობებს $\|\lambda_h\| = \|\boldsymbol{\lambda}_h\|_{M,h}$, $\|\mu_h\| = \|\boldsymbol{\mu}_h\|_{K,h}$. გამოვიყენოთ ეს გამოსახულებები (1.3), (3.4) და (3.9b), (3.9d) ფორმულებთან ერთად. გარდა ამისა, მხედველობაში მივიღოთ $\omega_{h,j}$ ფუნქციების, $j = 0, 1, \dots, N$, მააპროქსიმებელი თვისებები [45]. შედეგად მივდივართ დასკვნამდე, რომ (7.19)-ის მარჯვენა მხარის ბოლო შესაკრები რაგინდ მცირეა, როცა $h \to 0$ და

$$s_1 \to \frac{a}{b} + \left(\frac{2}{b}\left(\|w^1(x)\|^2 + cd\|w_x^2(x) - \psi^2(x)\|^2 + \frac{1}{2b}(a - b\|w_x^2(x)\|^2)^2 + \right.\right.$$

$$\left.\left. + \frac{1}{c}\|\psi^1(x)\|^2 + \|\psi_x^2(x)\|^2\right)\right)^{\frac{1}{2}}. \tag{7.20}$$

ლ ე მ ა 7 . 2 . არსებობს (3.7), (3.8) ამოცანის ამონახსნი და მართებულია უტოლობა

$$\|\boldsymbol{v}_h(t)\|_{K,h}^2 < s_1, \tag{7.21}$$

$$0 \le t \le T.$$

დამტკიცება. (3.7) განტოლებები სკალარულად გავამრავლოთ, შესაბამისად, $\boldsymbol{u}_h(t)$, $cd\boldsymbol{v}_h(t)$, $\frac{1}{c}\boldsymbol{f}_h(t)$, $\boldsymbol{\varphi}_h(t)$, $cd\boldsymbol{\psi}_h(t)$-ზე და შევკრიბოთ მიღებული გამოსახულებები. გარკვეული გარდაქმნების შედეგად ვღებულობთ

$$\frac{1}{2}\frac{d}{dt}\left(\|\boldsymbol{u}_h(t)\|_{M,h}^2 + cd\|\boldsymbol{v}_h(t)\|_{K,h}^2 + \frac{1}{c}\|\boldsymbol{f}_h(t)\|_{M,h}^2 + \|\boldsymbol{\varphi}_h(t)\|_{K,h}^2 + cd\|\boldsymbol{\psi}_h(t)\|_{K,h}^2\right)$$
$$= \left(-a + b\|\boldsymbol{v}_h(t)\|_{K,h}^2\right)\left(Q\boldsymbol{v}_h(t), \boldsymbol{u}_h(t)\right)_h$$
$$+cd\left(\left(L\boldsymbol{v}_h(t), \boldsymbol{f}_h(t)\right)_h - \left(L\boldsymbol{\varphi}_h(t), \boldsymbol{u}_h(t)\right)_h\right). \qquad (7.22)$$

(7.22)-ში გარდავქმნათ სკალარული ნამრავლები. (3.7b)-ისა და (3.7e)-ის ძალით,

$$\left(Q\boldsymbol{v}_h(t), \boldsymbol{u}_h(t)\right)_h = \left(\boldsymbol{v}_h(t), Q'\boldsymbol{u}_h(t)\right)_h = -\left(\boldsymbol{v}_h(t), K\frac{d\boldsymbol{v}_h(t)}{dt}\right)_h = -\frac{1}{2}\frac{d}{dt}\|\boldsymbol{v}_h(t)\|_{K,h}^2,$$
$$\left(L\boldsymbol{v}_h(t), \boldsymbol{f}_h(t)\right)_h = \left(\boldsymbol{v}_h(t), L'\boldsymbol{f}_h(t)\right)_h = \left(\boldsymbol{v}_h(t), K\frac{d\boldsymbol{\psi}_h(t)}{dt}\right)_h. \qquad (7.23)$$

$\left(L\boldsymbol{\varphi}_h(t), \boldsymbol{u}_h(t)\right)_h$ ნამრავლის გარდაქმნისათვის დაგვჭირდება ფორმულა

$$LK^{-1}Q' = -QK^{-1}L'. \qquad (7.24)$$

დავამტკიცოთ ეს ფორმულა.

(3.9a), (3.9b)-დან გამომდინარეობს, რომ L მატრიცი მიიღება K მატრიციდან პირველი და ბოლო სტრიქონის ამოშლით. ამის გამო და $KK^{-1} = I$ ტოლობის ძალით, რომელშიც I იგივური მატრიცაა, ვასკვნით, რომ LK^{-1} არის $(N-1)\times(N+1)$ განზომილების შემდეგი სახის მატრიცი

$$LK^{-1} = \begin{pmatrix} 0 & 1 & 0 & & & 0 & \\ & & & \ddots & & & \\ & 0 & & & 0 & 1 & 0 \end{pmatrix}. \qquad (7.25)$$

ახლა, თუ LK^{-1} მატრიცს მარჯვნიდან გავამრავლებთ Q'-ზე, ხოლო $K^{-1}L' = (LK^{-1})'$ მატრიცს მარცხნიდან გავამრავლებთ Q-ზე, მაშინ (3.9d)-ისა და (7.24)-ის საშუალებით მივიღებთ (7.24)-ს.

თუ (7.24)-ს გამოვიყენებთ (3.7d)-დან და (3.7e)-დან გამომდინარე ტოლობებში

$$L\frac{d\boldsymbol{\varphi}_h(t)}{dt} = -LK^{-1}Q'\boldsymbol{f}_h(t), \qquad Q\frac{d\boldsymbol{\psi}_h(t)}{dt} = QK^{-1}L'\boldsymbol{f}_h(t)$$

და შემოვიღებთ აღნიშვნას

$$\boldsymbol{\zeta}_h(t) = L\boldsymbol{\varphi}_h(t) - Q\boldsymbol{\psi}_h(t), \qquad (7.26)$$

მივიღებთ

$$\frac{d\boldsymbol{\zeta}_h(t)}{dt} = 0.$$

ამრიგად,

$$\boldsymbol{\zeta}_h(t) = \boldsymbol{\zeta}_h(0), \qquad (7.27)$$
$$0 < t \leq T.$$

(7.26), (7.27) და (3.7b) ფორმულების საფუძველზე

$$\left(L\boldsymbol{\varphi}_h(t) - \boldsymbol{\zeta}_h(0), \boldsymbol{u}_h(t)\right)_h = \left(Q\boldsymbol{\psi}_h(t), \boldsymbol{u}_h(t)\right)_h$$
$$= \left(\boldsymbol{\psi}_h(t), Q'\boldsymbol{u}_h(t)\right)_h = -\left(\boldsymbol{\psi}_h(t), K\frac{d\boldsymbol{v}_h(t)}{dt}\right)_h. \qquad (7.28)$$

გავამრავლოთ (7.22) გამოსახულება $(3c^2d^2)^{-1}$-ზე და მხედველობაში მივიღოთ (7.23), (7.28), აგრეთვე, K მატრიცის სიმეტრიულობა. გვექნება

$$\frac{de_h^2(t)}{dt} = -\frac{2}{3cd}\left(\boldsymbol{\zeta}_h(0), \boldsymbol{u}_h(t)\right)_h,$$

სადაც

$$e_h(t) = 3^{\frac{1}{2}}\frac{1}{cd}\Big(\|\boldsymbol{u}_h(t)\|_{M,h}^2 + cd\|\boldsymbol{v}_h(t) - \boldsymbol{\psi}_h(t)\|_{K,h}^2 + \frac{1}{2b}\left(a - b\|\boldsymbol{v}_h(t)\|_{K,h}^2\right)^2$$
$$+\frac{1}{c}\|\boldsymbol{f}_h(t)\|_{M,h}^2 + \|\boldsymbol{\varphi}_h(t)\|_{K,h}^2\Big)^{\frac{1}{2}}. \qquad (7.29)$$

ეს ტოლობა და (6.1b)-დან გამომდინარე $\|\boldsymbol{u}_h(t)\|_h \leq 3^{\frac{1}{2}}\|\boldsymbol{u}_h(t)\|_{M,h}$ უტოლობა გვაძლევს

$$e_h^2(t) \leq e_h^2(0) + 2\|\boldsymbol{\zeta}_h(0)\|_h \int_0^t e_h(\tau)\, d\tau\, . \qquad (7.30)$$

გამოვიყენოთ გრონუოლის (Gronwall) უტოლობის ბიჰარისა (Bihari) და ლანგენჰოფის (Langenhopf) განზოგადება [8]. ვთქვათ, $p(t) : [0, \infty) \to [0, \infty)$ უწყვეტი ფუნქციაა და $\omega : (0, \infty) \to (0, \infty)$ არაკლებადი უწყვეტი ფუნქციაა. დავუშვათ, სრულდება უტოლობა

$$p(t) \leq c_0 + \int_0^t \omega\big(p(\tau)\big)d\tau, \quad 0 \leq t < \infty,$$

სადაც c_0 დადებითი მუდმივია, მაშინ ნებისმიერი დადებითი Ω_0 რიცხვისთვის, რომელიც ნაკლებია $\Omega(\infty)$-ზე, სრულდება $p(t) \leq \Omega^{-1}(\Omega_0) < \infty,\ 0 \leq t \leq \Omega_0$. აქ

$$\Omega(t) = \int_{c_0}^t \frac{d\tau}{\omega(\tau)}\, , \quad t \geq c_0.$$

გამოვიყენოთ ეს შედეგი (7.30)-ში. თუ დავუშვებთ, რომ $p(t) = e_h^2(t)$, $c_0 = e_h^2(0)$,

$$\omega(\tau) = 2\|\boldsymbol{\zeta}_h(0)\|_h\sqrt{\tau},\ \ \Omega_0 = T,$$

მივიღებთ

$$e_h(t) \le e_h(0) + T\|\boldsymbol{\zeta}_h(0)\|_h, \quad 0 < t \le T. \tag{7.31}$$

(7.31)-ისა და (7.29)-ის ძალით,

$$\|\boldsymbol{v}_h(t)\|_{K,h}^2 \le \frac{a}{b} + \left(\frac{6}{b}\right)^{\frac{1}{2}} cde_h(t) \le \frac{a}{b} + \left(\frac{6}{b}\right)^{\frac{1}{2}} cd(e_h(0) + T\|\boldsymbol{\zeta}_h(0)\|_h). \tag{7.32}$$

(7.29), (7.26) და (3.8), (7.19)-ის (7.32)-ში ჩასმის შედეგად მიიღება შეფასება (7.21).

ლემის პირველი დებულება გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ $\boldsymbol{u}_h(t)$, $\boldsymbol{v}_h(t)$, $\boldsymbol{f}_h(t)$, $\boldsymbol{\varphi}_h(t)$, $\boldsymbol{\psi}_h(t)$ ვექტორების ნორმები თანაბრად შემოსაზღვრულია h-ის მიმართ. ამაში რომ დავრწმუნდეთ, საკმარისია გამოვიყენოთ (7.31), (7.29), (7.26) და (7.20).

ლემა დამტკიცებულია.

7.3. სასრულ ელემენტთა მეთოდის ცდომილების შეფასება. აქ განვიხილავთ (7.2) ცდომილებას. შემოვიღოთ აღნიშვნა

$$\alpha_1 = 3\left(\gamma + \left(s_0 + 6^{\frac{1}{2}}\left(s_0^{\frac{1}{2}} + s_1^{\frac{1}{2}}\right)^2 + s_1\right)\frac{b}{2h}\right). \tag{7.33}$$

თ ე ო რ ე მ ა 7 . 1 . დავუშვათ, რომ ადგილი აქვს (7.8) პირობას. მაშინ დროის ინტერვალის t_n კვანძში სასრულ ელემენტთა მეთოდის ცდომილებისათვის მართებულია შეფასება

$$\|\boldsymbol{z}_h(t_n)\|_h \le C_1 \max_{0\le t\le t_n} \|\boldsymbol{\theta}_h(t)\|_h, \tag{7.34}$$

სადაც

$$C_1 = 3t_n \exp(\mathrm{t}_n\alpha_1), \qquad n = 1, 2, \dots, P. \tag{7.35}$$

კერძოდ, თუ (2.1) ფუნქციები აკმაყოფილებენ პირობას

$$\begin{gathered} u(x,t), v(x,t), f(x,t), \varphi(x,t) \in C^{2,1}([0,1]\times[0,T]), \\ \psi(t) \epsilon C^{1,1}([0,1]\times[0,T]), \end{gathered} \tag{7.36}$$

მაშინ

$$\|\boldsymbol{z}_h(t_n)\|_h \le c_1 h, \tag{7.37}$$

სადაც

$$c_1 = (\sigma_1 + \sigma_2 + \sigma_3 + \sigma_4 + \sigma_5)C_1. \tag{7.38}$$

აქ გამოყენებულია აღნიშვნები

$$\sigma_1 = \frac{1}{2}m_{u,20} + \frac{1}{3}m_{u,11},$$

$$\sigma_2 = \frac{1}{2}(cd - a + bs_0)m_{v,20} + \frac{2}{3}m_{v,11} + \frac{1}{3}\left(c^2 d + \frac{5}{2}bm_{v,00}m_{v,10}\right)m_{v,10},$$

$$\sigma_3 = \frac{1}{2}m_{f,20} + \frac{1}{3}m_{f,11} + \frac{1}{3}m_{f,10}, \quad \sigma_4 = \frac{1}{2}cm_{\varphi,20} + \frac{1}{3}m_{\varphi,11} + \frac{1}{3}cdm_{\varphi,10},$$

$$\sigma_5 = \frac{2}{3}m_{\psi,11} + \frac{1}{3}c^2dm_{\psi,10},$$

$$m_{\lambda,ij} = \max_x \max_t \left|\frac{\partial^{i+j}\lambda(x,t)}{\partial x^i \partial t^j}\right|, \qquad x\epsilon[0,1], \quad t\epsilon[0,T].$$

დამტკიცება. (7.4) განტოლებისა და (7.5) საწყისი პირობების გამოყენების შედეგად ვღებულობთ

$$A\boldsymbol{z}_h(t) = \int_0^t \Big(B\boldsymbol{z}_h(\tau) + \Big(C\big(\boldsymbol{v}(\tau)\big)\boldsymbol{y}(\tau) - C\big(\boldsymbol{v}_h(\tau)\big)\boldsymbol{y}_{\boldsymbol{h}}(\tau)\Big) + \boldsymbol{\theta}_h(\tau)\Big)d\tau. \tag{7.39}$$

(6.6), (7.11), (7.21), (6.1a) და (7.3) ფორმულების თანახმად,

$$\begin{aligned}
&\left\|C\big(\boldsymbol{v}(t)\big)\boldsymbol{y}(t) - C\big(\boldsymbol{v}_h(t)\big)\boldsymbol{y}_h(t)\right\|_h \\
&\quad \le \frac{b}{2h}\Big(\big(\|\boldsymbol{v}(t)\|_{K,h}^2 + \|\boldsymbol{v}_h(t)\|_{K,h}^2\big) \\
&\qquad + \big(\|\boldsymbol{v}(t)\|_{K,h} + \|\boldsymbol{v}_h(t)\|_{K,h}\big)(\|\boldsymbol{v}(t)\|_h + \|\boldsymbol{v}_h(t)\|_h)\|\boldsymbol{z}_h(t)\|_h\Big) \\
&\qquad \le \frac{b}{2h}\left(s_0 + 6^{\frac{1}{2}}\left(s_0^{\frac{1}{2}} + s_1^{\frac{1}{2}}\right)^2 + s_1\right)\|\boldsymbol{z}_h(t)\|_h.
\end{aligned} \tag{7.40}$$

ამ თანაფარდობის, (6.2)-ის, (7.33)-ისა და (7. 39)-ის გამო,

$$\|\boldsymbol{z}_h(t)\|_h \le \int_0^t (\alpha_1\|\boldsymbol{z}_h(\tau)\|_h + 3\|\boldsymbol{\theta}_h(\tau)\|_h)d\tau.$$

გრონუოლის (Gronwall) უტოლობისა და (7.35)-ის გამოყენების შედეგად ვასკვნით, რომ სრულდება შეფასება (7.34).

ახლა შევუდგეთ (7.37) უტოლობის დამტკიცებას. შემოვიღოთ რამდენიმე აღნიშვნა. დავუშვათ, $\lambda(x)$ და $\mu(x)$ არის $[0,1]$ ინტერვალზე განსაზღვრული საკმარისად გლუვი ფუნქციები, $\lambda(0) = \lambda(1) = 0$ და, ვთქვათ,

$$m_{\lambda,l} = \max_x \left|\frac{d^l\lambda(x)}{dx^l}\right|, \quad m_{\mu,l} = \max_x \left|\frac{d^l\mu(x)}{dx^l}\right|, \qquad x \in [0,1], \qquad l = 0, 1,2.$$

$\lambda(x)$ და $\mu(x)$ ფუნქციების და მათი წარმოებულების მნიშვნელობები $x_i = ih$ კვანძებში აღვნიშნოთ $\lambda_i = \lambda(x_i)$, $\mu_i = \mu(x_i)$ და $\lambda_i' = \lambda'(x_i)$, $\mu_i' = \mu'(x_i)$. შემოვიღოთ ვექტორები $\boldsymbol{\lambda} = (\lambda_1, \lambda_2, \dots, \lambda_{N-1})$ და $\boldsymbol{\mu} = (\mu_0, \mu_1, \dots, \mu_N)$.

(3.9) განსაზღვრებებისა და ტეილორის მწკრივად გაშლის ფორმულის საფუძველზე მივიღებთ

$$
\begin{gathered}
K\boldsymbol{\mu} = \left(\frac{1}{2}\mu_0, \mu_1, \dots, \mu_{N-1}, \frac{1}{2}\mu_N\right) + \boldsymbol{\varepsilon}_K, \quad L\boldsymbol{\mu} = (\mu_1, \mu_2, \dots, \mu_{N-1}) + \boldsymbol{\varepsilon}_L, \\
M\boldsymbol{\lambda} = (\lambda_1, \lambda_2, \dots, \lambda_{N-1}) + \boldsymbol{\varepsilon}_M, \quad Q\boldsymbol{\mu} = (\mu_1', \mu_2', \dots, \mu_{N-1}') + \boldsymbol{\varepsilon}_Q, \\
Q'\boldsymbol{\lambda} = -\left(\frac{1}{2}\lambda_0', \lambda_1', \dots, \lambda_{N-1}', \frac{1}{2}\lambda_N'\right) + \boldsymbol{\varepsilon}_Q, \\
L'\boldsymbol{\lambda} = \left(\frac{1}{2}\lambda_0, \lambda_1, \dots, \lambda_{N-1}, \frac{1}{2}\lambda_N\right) + \boldsymbol{\varepsilon}_{L'}, \\
\|\boldsymbol{\mu}\|_{K,h}^2 Q\boldsymbol{\mu} = \left(\int_0^1 \mu^2(x)\,dx\right)(\mu_1', \mu_2', \dots, \mu_{N-1}') + \boldsymbol{\varepsilon}_\int .
\end{gathered} \tag{7.41}
$$

ამ ტოლობების მეორე შესაკრებები წარმოადგენს ვექტორებს, რომელთათვისაც მართებულია შეფასებები

$$
\begin{gathered}
\|\boldsymbol{\varepsilon}_K\|_h, \|\boldsymbol{\varepsilon}_L\|_h \le \frac{1}{3}hm_{\mu,1}, \quad \|\boldsymbol{\varepsilon}_M\|_h, \|\boldsymbol{\varepsilon}_{L'}\|_h \le \frac{1}{3}hm_{\lambda,1}, \\
\left\|\boldsymbol{\varepsilon}_Q\right\|_h \le \frac{1}{2}hm_{\mu,2}, \ \left\|\boldsymbol{\varepsilon}_{Q'}\right\|_h \le \frac{1}{2}hm_{\lambda,2}, \\
\left\|\boldsymbol{\varepsilon}_\int\right\|_h \le \frac{1}{2}h\left(\|\boldsymbol{\mu}\|_{K,h}^2 m_{\mu,2} + \frac{5}{3}m_{\mu,0}m_{\mu,1}^2\right).
\end{gathered} \tag{7.42}
$$

შევნიშნოთ, რომ (7.42)-ის ბოლო უტოლობის მისაღებად ტეილორის ფორმულის გარდა საჭიროა (7.17) და (7.10) გამოსახულებების გამოყენება.

ახლა, იმისათვის, რომ მივიღოთ (7.37) უტოლობა, უნდა შევაფასოთ $\boldsymbol{\theta}_h(t)$ ვექტორის ნორმა (7.34)-ში. ამისათვის, (7.6)-ში უნდა გამოვიყენოთ (7.2) და (3.14) განსაზღვრებები. შედეგად მიიღება ხუთი მატრიცული ტოლობა, თითოეული მათგანისათვის გამოსაყენებელია შესაბამისი ფორმულები (7.41), (7.42)-დან, (2.3) განტოლებები და (7.11) უტოლობა.

თეორემა დამტკიცებულია.

8. სხვაობიანი სქემის სიზუსტე

8.1. განტოლება ცდომილებისათვის. განვსაზღვროთ (4.4), (4.5) სხვაობიანი სქემის ცდომილება n-ურ შრეზე, ე. ი. $t = t_n$-ურ კვანძში, $n = 0,1,\dots,P$, როგორც სხვაობა $\boldsymbol{y}_h(t_n)$ ვექტორსა, რომელიც წარმოადგენს (3.11) სასრულ ელემენტთა სისტემის ამონახსნს $t = t_n$ კვანძში და $\boldsymbol{y}_h^n$ ვექტორს, რომელიც წარმოადგენს სხვაობიანი სქემის ამონახსნს ამავე კვანძში, შორის. მაშასადამე,

$$
\boldsymbol{z}_h^n = \boldsymbol{y}_h(t_n) - \boldsymbol{y}_h^n. \tag{8.1}
$$

$\boldsymbol{z}_h^n$-თვის განტოლებისა და საწყისი მნიშვნელობის მიღების მიზნით (4.4)-სა და (4.5)-ში $\boldsymbol{y}_h^n$ შევცვალოთ $\boldsymbol{y}_h(t_n) - \boldsymbol{z}_h^n$-ით. მივიღებთ

$$A\frac{\boldsymbol{z}_h^n - \boldsymbol{z}_h^{n-1}}{\tau} = \frac{1}{2}B(\boldsymbol{z}_h^n + \boldsymbol{z}_h^{n-1}) + \frac{1}{4}\Big(\Big(C\big(\boldsymbol{v}_h(t_n)\big) + C\big(\boldsymbol{v}_h(t_{n-1})\big)\Big)\big(\boldsymbol{y}_h(t_n) + \boldsymbol{y}_h(t_{n-1})\big)$$

$$-\Big(C(\boldsymbol{v}_h^n) + C(\boldsymbol{v}_h^{n-1})\Big)(\boldsymbol{y}_h^n + \boldsymbol{y}_h^{n-1})\Big) + \boldsymbol{\theta}_h^n, \qquad (8.2)$$

$$n = 1, 2, \ldots, P,$$

და

$$\boldsymbol{z}_h^0 = 0. \qquad (8.3)$$

აქ $\boldsymbol{\theta}_h^n$ წარმოადგენს (4.4) სხვაობიანი სქემის აპროქსიმაციის ცდომილებას

$$\boldsymbol{\theta}_h^n = A\frac{\boldsymbol{y}_h(t_n) - \boldsymbol{y}_h(t_{n-1})}{\tau}$$

$$-\frac{1}{2}\left(B + \frac{1}{2}\Big(C\big(\boldsymbol{v}_h(t_n)\big) + C\big(\boldsymbol{v}_h(t_{n-1})\big)\Big)\right)\big(\boldsymbol{y}_h(t_n) + \boldsymbol{y}_h(t_{n-1})\big). \qquad (8.4)$$

8.2. დამხმარე შეფასება. ჩვენი მიზანია (8.2) განტოლების საშუალებით სხვაობიანი სქემის $\boldsymbol{z}_h^n$ ცდომილების შეფასებაა. ამისათვის დაგვჭირდება (4.1) სხვაობიან სქემაში შემავალი $\boldsymbol{v}_h^n$ ვექტორის ნორმის შეფასება.

ლ ე მ ა 8 . 1 . არსებობს (4.1), (4.2) ამოცანის ამონახსნი და მართებულია აპრიორული შეფასება

$$\|\boldsymbol{v}_h^n\|_{K,h}^2 < s_1, \qquad (8.5)$$

$$n = 1, 2, \ldots, P.$$

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ ა . $\boldsymbol{y}_l = (\boldsymbol{u}_l, \boldsymbol{v}_l, \boldsymbol{f}_l, \boldsymbol{\varphi}_l, \boldsymbol{\psi}_l)$, $\boldsymbol{u}_l, \boldsymbol{f}_l \epsilon R^{N-1}$, $\boldsymbol{v}_l, \boldsymbol{\varphi}_l, \boldsymbol{\psi}_l \epsilon R^{N+1}$ ვექტორისთვის შემოვიღოთ აღნიშვნები

$$\zeta(\boldsymbol{y}_l) = L\boldsymbol{\varphi}_l - Q\boldsymbol{\psi}_l, \qquad (8.6a)$$

$$e(\boldsymbol{y}_l) = 3^{-\frac{1}{2}}\frac{1}{cd}\Big(\|\boldsymbol{u}_l\|_{M,h}^2 + cd\|\boldsymbol{v}_l - \boldsymbol{\psi}_l\|_{K,h}^2$$

$$+\frac{1}{2b}\big(ab\|\boldsymbol{v}_l\|_{K,h}^2\big)^2 + \frac{1}{c}\|\boldsymbol{f}_l\|_{K,h}^2 + \|\boldsymbol{\varphi}_l\|_{K,h}^2\Big)^{\frac{1}{2}}, \qquad (8.6b)$$

$$l = 0, 1, \ldots, P.$$

(4.1) განტოლებები სკალარულად გავამრავლოთ, შესაბამისად,

$$\boldsymbol{u}_h^n + \boldsymbol{u}_h^{n-1}, \quad \frac{1}{2}cd(\boldsymbol{v}_h^n + \boldsymbol{v}_h^{n-1}), \quad \frac{1}{c}(\boldsymbol{f}_h^n + \boldsymbol{f}_h^{n-1}),$$

$$\frac{1}{2}(\boldsymbol{\varphi}_h^n + \boldsymbol{\varphi}_h^{n-1}), \quad \frac{1}{2}cd(\boldsymbol{\psi}_h^n + \boldsymbol{\psi}_h^{n-1}),$$

და შევკრიბოთ მიღებული ტოლობები. გვექნება

$$\sum_{l=0}^{1}(-1)^l\left(\left\|\boldsymbol{u}_h^{n-l}\right\|_{M,h}^2 + cd\left\|\boldsymbol{v}_h^{n-l}\right\|_{K,h}^2 + \frac{1}{c}\left\|\boldsymbol{f}_h^{n-l}\right\|_{M,h}^2 + \left\|\boldsymbol{\varphi}_h^{n-l}\right\|_{K,h}^2 + cd\left\|\boldsymbol{\psi}_h^{n-l}\right\|_{K,h}^2\right)$$

$$= \tau\left(\left(-\frac{a}{2} + \frac{b}{4}\left(\|\boldsymbol{v}_h^{n-1}\|_{K,h}^2 + \|\boldsymbol{v}_h^n\|_{K,h}^2\right)\right)(Q(\boldsymbol{v}_h^n + \boldsymbol{v}_h^{n-1}), \boldsymbol{u}_h^n + \boldsymbol{u}_h^{n-1})_h\right.$$

$$\left.+\frac{cd}{2}((L(\boldsymbol{v}_h^n + \boldsymbol{v}_h^{n-1}), \boldsymbol{f}_h^n + \boldsymbol{f}_h^{n-1})_h - (L(\boldsymbol{\varphi}_h^n + \boldsymbol{\varphi}_h^{n-1}), \boldsymbol{u}_h^n + \boldsymbol{u}_h^{n-1})_h)\right). \quad (8.7)$$

განვიხილოთ სკალარული ნამრავლები (8.7)-ში. (4.1b)-სა და (4.1e)-ს ძალით

$$(Q(\boldsymbol{v}_h^n + \boldsymbol{v}_h^{n-1}), \boldsymbol{u}_h^n + \boldsymbol{u}_h^{n-1})_h$$

